

კაჟა ეტზისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 94

2020



მთ. რედაქტორი

ზურაბ ბრიბაღაშვილი

პოეტი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემიის
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიბახოვსაძის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-901-1 (94 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეშვილების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეშვილის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეში. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეშვილის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველობისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეშვილი და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეშვილის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნათა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხავი.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონინი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგელეჟავი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღამიწვის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაკიძის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„ბულცინვალ შხხვდი ყოველ ძეხას, ყოველ აბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

ბვირსტი

გვირისტი ნემსის უხარვეზოდ ამოგებით შესრულებული მჭიდრო ნაკერიანო, გვამცნობს ქართული განმარტებითი ლექსიკონი და მის საპირისპირო ცნებებსაც გვაწოდის – ბლანდი, ლამბი.

ბრძენ სულხან-საბას მივაკითხეთ და მან ასე განგვიმარტა: გვირისტი უკან გდებით კერვალო და მას სხვანაირად თაგალი ჰქვიაო.

უკან გდებით კერვა, უეჭველია, იმას ნიშნავს, ნემსით ერთხელ რომ გაჰყვები საკერავს და მერმე უკან გამოჰყვები მჭიდრო ნაკერავის მისაღებად.

სიტყვა „გვირისტს“ იმიტომ დაუწვეე ძებნა, რომ მინდოდა ვაჟა ეგრისელის ლექსისათვის რაიმე სახელწოდება მომენახა ქართულ სიტყვის კონაში.

იმის შესახებ, რომ სასურველია ვაჟა ეგრისელის ლექსის თავისებურებას სათანადო ქართული სახელი გამოენახოს, ჩვენ გამოვთქვით ჩვენს მეორე წერილში „იაროს უნდა მწვანე შუქზე“.



არცერთ ქართულ ლექსთწყობაში დღემდე არსებულ ფორმას არ ემთხვევა ვაჟა ეგრისელის ლექსი. ის მოკლე ლექსია და განსაკუთრებული სტრუქტურით გამოირჩევა.

მოკლე ლექსის სხვადასხვა სახეობები არსებობს სხვათა ენებზე.

ფრანგებმა შექმნეს მოკლე ლექსი – რონდო, რომელიც 8 და 13 სტრიქონში ეტევა. მასში პირველი ორი და ბოლო მე-7 და მე-8 სტრიქონები მეორდებიან. ამით არა ჰგავს რონდო ვაჟა ეგრისელის ლექსს.

ცნობილია პიერ დე რონსარის მიერ შემოღებული ექვსტაეპიანი ლექსიც. მაგრამ იგი ექვსტაეპიანია და ამიტომ ვაჟა ეგრისელის ლექსს არა ჰგავს. (რონსარის სტროფმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ფრანგული, არამედ სხვაენოვანი პოეზიის განვითარებაზეც. ქართველი პოეტებიც წერდნენ და წერენ ექვსტაეპიან ლექსებს, მათ შორის ვაჟა ეგრისელიც:

ერთს ათასი გვიმზერს შურით,
აღარა გვაქვს მეტი ძალა,
და ცხენების თქარათქური –
გულზე გვეკიდება ტალად,
მაგრამ სადღაც ქშენა ქურის,
მტერს უმზადებს შხამ-სამსალას.

ფრანგებმა ის, რომ რონსარმა დიდი სიხსლე შეიტანა მათ პოეზიაში, სამი საუკუნის შემდეგ გაი-



გეს. (ღმერთმა ნუ ჰქმნას, – ასეთი რამ დაგვემართოს).

არც ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის კლასიკური ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრები (კასიდა, არუდი, ღაზალი, თარჯიბანდი, რობაი, მარსია, კიტა და სხვა) მიეკუთვნება ვაჟა ეგრისელის ლექსის მსგავს ჟანრს.

იაპონური მოკლე, სასტიქონიანი ლექსიც – ხოკკუ – არსებობს, მაგრამ ის ძალიან მინიატურული და ურითმოა, ამიტომ მას ვაჟა ეგრისელის ლექსს ვერ შევადარებთ.

იაპონური ტანკა? – მოასკდა ალბათ მკითხველს ბაგეზე კითხვა. ტანკა ხუთსტრიქონიანი, ლექსია, მცირე ზომისაა (ამაში, მგონი, ჰგავს მას ვაჟა ეგრისელის ლექსი), ხასიათდება ლაკონურობით, სახეობრიობით, გრძნობათა კონცენტრაციულობით (ამაშიც მიემგვანება, ალბათ, მას ვაჟა ეგრისელის ლექსი).

მაგრამ ტანკი ურითმო ლექსია, ვაჟა ეგრისელის ლექსი კი სილაბურ-ტონალურია და უხვად შემკულია ქალური, დაქტილური და ზედაქტილური რითმებით! ამითაც განსხვავდება იგი ტანკისაგან და ჰეგ ზამეტრითა და სტრეტიტაც.

ამრიგად, სახელწოდება ტანკა ვაჟა ეგრისელის ლექსს ვერ მიესადაგება.

არის მცირე ფორმის (8-10 სტრიქონი) სომხური ლექსების სახეობა – ჰაინერები, რომლებიც რობაიე-



ბის მსგავს გართიმულ შაირებს წარმოადგენენ და მკაცრი კანონიკური საზღვრებით არიან შემოზღუდული, ჰაინერები ხალხურ ლექსებს ჩამოგავენ და უმეტესად სატრფიალო ლირიკას წარმოადგენენ.

ამრიგად, ისინი სულ სხვა რამ არიან, ვიდრე ვაჟა ეგრისელის ლექსები, რომლებიც ხალხური და სატრფიალო სახისა კი არა, მკაცრ შემოქმედებით ქურაში არიან გამოვლილი, ინდივიდუალური ქმნილებების დამდით არიან დამშვენებული და რაიმე თემით კი არა იზღუდებიან, თვალუწვდენელი სამყაროს საგანთა და მოვლენათა მომცველნი უნდათ იყვნენ.

არც ფორმით ესადაგებიან ჰაინერები ვაჟა ეგრისელის ლექსებს.

თუ მსგავსებზე ვილაპარაკებთ, ვაჟა ეგრისელის ლექსები ჩინური პოეზიის ერთ-ერთი ჟანრის ლექსებს ჩამოგვანენ უმეტესად. ამ ჩინურ ლექსებს ძუეძუი, ანუ უფრო სრულად უიან ძუეძუი ჰქვია.

ძუეძუი რვასტრიქონიანი ჯვარედინ ან მიჯრილრითმიანი ლექსებია, თემატიკით შეუზღუდავი, სასიამოვნოდ საკითხავი, მაღალოსტატურად დაწერილი ნამდვილი შემოქმედი პოეტების მიერ.

ძუეძუი რვასტრიქონიანი ჯვარედინ ან მიჯრილრითმიანი ლექსებია, თემატიკით შეუზღუდავი, სასიამოვნოდ საკითხავი, მაღალოსტატურად დაწერილი ნამდვილი შემოქმედი პოეტების მიერ.



ამით ვაჟა ეგრისელის ლექსები ნამდვილად ჩამოჰკავებან ჩინურ ძუე-ძუის.

უ იან ძუე-ძუი სტრუქტურულად ოთხი შემადგენელი ნაწილისაგან შესდგება: ცი – დასაწყისი, ჩენ – პასუხი, ჯ უან – მოსაბრუნნი, ძე – კვანძი.

ვაჟა ეგრისელის ლექსსაც აქვს დამახასიათებელი სტრუქტურული აგებულება, რომელსაც მე პირობითად ვუწოდებდი: ჰიპოტეზას, დისპოზიციას და ფინალს.

ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვეჩვენება ლაპარაკი.

მიუხედავად ამდენი მსგავსებისა, ვაჟა ეგრისელის ლექსი მაინც არ არის ძუე-ძუი, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ კანონიკურ რეასტრიქონიან ჩარჩოში არ თავსდება; მერე – მეორე, იმიტომ, რომ იგი ისე ორგანულადაა დაკავშირებული ქართულ კლასიკურ ტრადიციულ ლექსთან, რომ ზოგჯერ მათ შორის ზღვარი მთლიანად იშლება; მერე – მესამე, იმიტომ, რომ ის იმდენად არ არის სტრუქტურულად შეზღუდული, რამდენადაც ძუე-ძუი და მერე – მეოთხე, იმიტომ, რომ ვაჟა ეგრისელის ლექსი ქართული ლექსია და არა ჩინური.

მოვიტან ნიმუშებად სახელგანთქმული ჩინელი პოეტის ბო ძიუ-ის ლექსს, რომელიც ძუე-ძუის სტილშია დაწერილი და ვაჟა ეგრისელის ლექსს:



ბო ძიუ-ი

სიბერე გაზაფხულზე

არ მინდა ჩამოვრჩე – ამ ყმაწვილკაცებთან
მიმძიმს და მე მაინც ვსეირნობ ჟინით.

მაგრამ გაზაფხულის ჩრდილი და ნათელი,
ვეღარ დავიუკე მტკივანი ჩინით.

ძვირფას ხალიჩებზე – მუტრიბთა შორის,
ან მოფარდაგულზე – ყვავილთა გასწვრივ

ყოფილა ოდესმე, ვისმე დაუხატავს

ჭაღართმიანი, სნეული კაცი?

(თარგმანი თ. ჩხენკელი ს ა).

ვაჟა ეგრისელი

ნაპირთან ისევ თამაშობს ტალღა

და აქ იქნა და

აღარ იძინებს...

შენ კი ისე ხარ კოლხურ მთვარის

ვერცხლით მოსილი

და ცა თვალებში

ისე გიკრთის

და გიციმციმებს,

თითქოს ამ წუთას ჩამოფრინდი

ანგელოსივით.

ერთი შენიშვნა: ბო ძიუ-ი თავის ყველა ლექსს
ასათაურებს, ვაჟა ეგრისელი კი უპირატესად უსათა-
ურო ლექსებს ირჩევს.



ამდენი ძებნის შემდეგაც რომ ვერ მივაგენით ვაჟა ეგრისელის ლექსისათვის სახელის მისაკუთვნებელ სხვათა ლექსს, მკითხველს ალბათ ძველი ანეკდოტი გაახსენდა:

ქალაქში გამგლევი შემხდურს ეკითხება, ხომ არ იცით, აქ აფთიაქი სად არისო?

– აფთიაქი? აი, ხელმარჯვნივ რომ წახვალთ, სამი სახლის შემდეგ სახინკლე შეგხვდებათ, მერმე, ოთხი სახლის იქით საჭაშნიკოა, მერმე კიდევ ხუთექვს სახლს ჩამოიტოვებთ და რესტორანი შეგხვდებათ. ის ქალაქის განაპირასაა. პირდაპირ თუ წახვალთ, აი, აქეთ, ერთი კვარტალი რომ გათავდება, სახაშეა, მერმე იქვე ახლოს – სამწვადე, მერმე ახლოში ლუდის ბარია, კაი სოსისებს ხარშავენ...

– კაცო, მე აფთიაქს გეკითხებით! – უპასუხა შემხვედრმა და გვერდი აუქცია.

ესევე არ ვიცი მეც, რა დავარქვა ვაჟა ეგრისელის ლექსს და ამიტომ დავიწყე ქექვა ქართულ სიტყვის კონაში.

სიტყვა გვირისტი შემთხვევით არ ამომირჩევია. ეს სიტყვა მწერალმა რევაზ მიშველამე მიკარნახა, – ვაჟა ეგრისელს ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სტრიქონები აქვსო.

მე კი ვიცი, რომ ვაჟა ეგრისელს მარტო სტრიქონები კი არა, ასეულობით ლექსები აქვს ჩამოგვირისტებული, მკვდიდრად ნაკერი და არა დაღამებული და დაბალანდული, ამიტომ ვაჟა ეგრისელის



ლექსს, ჩემის აზრით, შეიძლება ეწოდოს ლექსი – გვირისტი.

უეჭველია, რომ ვაჟა ეგრისელმა ქართულ პოეზიაში შემოიტანა ლექსის ახალი ფორმა, ისიც უეჭველია, რომ ამ ლექსს შეიძლება ეწოდოს გვირისტი, რამეთუ იგი გვირისტივით მკვიდრად ნაკერი და წყალგაუვალია.

და, რადგან ეს ასეა, ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ ამ ლქსის ჩემეული დახასიათება.

რა თქმა უნდა, ეს დახასიათება სრული არ შეიძლება იქნეს, რადგან ამ ლექსისათვის ჯერ სახელი არავის მოუძებნია და მისი გამოცალკეეებითი დახასიათება არ უცდია.

ამჟამად ვაჟა ეგრისელის ლექსის სტრუქტურულ დახასიათებაზე შევჩერდეთ.

განვიხილოთ ერთი ლექსი წიგნიდან „მოლოდინი“:

ჯობს დაყრდნობილი მოდის სიბერე
და წყველა-კრულვით მოჰყვებიან
მშიშარა წლები.

სიცოცხლეც შიშობს,
ღამეები სიბნელეს ყეფენ,
და მზეც კანკალებს...
და სივრცეს ჩხვერს, როგორც
ღვინია.

სიკვდილი?

სიკვდილი არის ამაჰყეყნის ღმერთი და



სიკვდილს არვისი და არაფრის არ ეშინია.

მეფე.

ამ ლექსქში აშკარად გამოირჩევა ჰიპოთეზა (ვა-
რაუდი).

ჯოსს დაყრდნობილი მოდის სიბერე
და წყველა-კრულვით მოჰყვებიან
მშიშარა წლები.

ჰიპოთეზა უეჭველი რამ როდია, იგი მიგვანიშ-
ნებს: ვითარებას – „ასე რომ იყოს“, ან საგანს – „ეს
რომ იყოს“, ან თვისებას, – „ასეთი რომ იყოს“, ან
ადგილს – „აქ რომ იყოს“ და ასე შემდეგ.

ჰიპოთეზას უნდა მოჰყვეს აღწერა, ახსნა, გან-
მარტება, თხრობა, რომელმაც ფინალამდე უნდა მიგ-
ვიყვანოს. ამას მე დისპოზიციას – სათქმელის, საექ-
სპერიმენტო მასალის, განზრახვის შესასრულებელი
მასალის განლაგებას დავარქმევდი.

მოცემულ ლექსსი დისპოზიციას:

სიცოცხლე შიშობს

ღამეები სიბნელეს ყეფენ.

და მზეც კანკალებს...

და სივრცეს ჩხვერს, როგორც

ღვინია.

სიკვდილი?

და ამას მოჰყვება ფინალი – დასკვნითი ნაწი-
ლი:

სიკვდილი არის ამაჰყვეყნის ღმერთი და

მეფე.



სიკვდილს არვისი და არაფრის არ ეშინია.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ლექსის ის ნაწილი, რომელსაც მე ჰიპოთეზას ვუწოდებ, ვერსიფიკაციული ქსოვილის შექმნაში თითქოს არ მონაწილეობს (მხოლოდ ცეზურაა დაცული) და აღიქმება როგორც შესასვლელი მხატვრულ სამყაროში, სადაც შედარებები, მეტაფორები, რითმები, ცეზურა და კალუზულა ამღერდებიან და აცეკვდებიან.

ადვილი შესამჩნევია ისიც, რომ ლექსის ის ნაწილი, რომელსაც მე დისპოზიციას ვუწოდებ, სრულყოფილია ვერსიფიკაციის ყველა მოთხოვნის თვალსაზრისით, პოეტური მეტყველების კანონების დაცვის თვალსაზრისით.

ლექსის ის ნაწილი, რომელსაც მე ფინალს ვუწოდებ, მჭიდროდაა დაკავშირებული დისპოზიციასთან ვერსიფიკაციული თვალსაზრისით და მხოლოდ შინაარსით გამოირჩევა და აღიქმება, როგორც დასკვნითი ნაწილი.

განვიხილოთ კიდევ ერთი ლექსი:

სიხუმის მიღმა

ზღვის და ქარის

ჩურჩული ისმის...

თუმც ღვიძავს ღამეს,

არ იღერებს ყელს სალამური,

და არ წყვეტენ ხევსუვებში

ღრუბლები ყიალს...



პანტა ვაშლივით მაღალ სხევენზე
ჩემი მამულის

აურაცხელი ვარსკვლავი ყრია.

აქ ნათლად ჩანს, რომ ლექსის პირველი სამი სტრიქონი ჰიპოთეზაა, მომდევნო ხუთი სტრიქონი – დისპოზიცია, ხოლო ბოლო ორი სტრიქონი – ფინალია.

აი, სხვა ლექსიც:

სღუმს ქარიშხალი –

ზღვათა ხიზანი,

მძინარე ფსკერზე

მნათობები თვალებს ახელენ.

მთვარე ზღვის სიღრმეს ზომავს, მისგან

ასჯერ გაზომილს.

აღარ ჩანს ზვირთთა უმაღლესი

სრა-სასახლენი

და აღარც მისი სადარბაზონი.

რა პატარა ლექსია და რამხელა პოეტურ ხილვებს იტევს! მასში ნათლადაა გამოკვეთილი ვაჟა ეგრისელისეული ლექსების სტრუქტურა: ჰიპოთეზა – პირველი ორი სტრიქონი, დისპოზიცია – მომდევნო ოთხი სტრიქონი და ფინალი – ბოლო სამი სტრიქონი.

ვაჟა ეგრისელისეულ გვირისტში ხან ჰიპოთეზაა ვრცელი, ხან დისპოზიცია და ხან ფინალი. უმეტეს შემთხვევაში დისპოზიციაა უფრო განფეხილი და ეს სრულად კანონიერი მოვლენაა. ლექსში,



რომელსაც ახლა მოვიტანთ, ჰიპოთეზა ერთ სტრიქონში ჩაეტია, დისპოზიცია – სამ სტრიქონში, ფინალმა კი ხუთი სტრიქონი დაისაჭიროვა:

ბნელში სხედან და გვითვალთვალებენ,
ხანდახან ნისლი

ცრემლად ებურვით

და ჩვენს ლოდინში დამეს ათევენ...

და მნათობები

წინაპართა თვალებია

მზით ანთებული,

მილიონი წლის სიშორიდან

რომ გვინათებენ.

ახლა კი შემოგთავაზებთ ვაჟა ეგრისეულის ერთ ლექსს, გვირისტს, რომელიშიაც ჰიპოთეზასა და ფინალს მხოლოს თითო სტრიქონი დასჭირდათ, დისპოზიციამ კი შვიდი სტრიქონი მოიცვა:

რა სიწყნარეა...

არსად ჩქამი ანაზღეული

აღარ ათრთოლებს მდუმარების

დამეულ კალთას.

ვინ მიკაკუნებს წარსულს დღეებს

სევდიან წამად,

ან ვინ დგას დამის ჩაკეტილ

კართან,

ნუთუ შენ, მამი?!

ასეთია ვაჟა ეგრისეულის მეორე გვირისტის ფორმით შექმნილი ყველა ლექსის სტრუქტურული შე-



მადგენლობა. ამ ღექსის არა მარტო სტრუქტურული, არამედ ყოველმხრივი გამოკვლევებისა და შესწავლის საკითხის აქტუალობა განპირობებულია არა მარტო მისი ნოვატორული ხასიათით, ეს განპირობებულია იმითაც, რომ უკვე დაწერილი და გამოქვეყნებულია არა ათეულობით ასეთი ღექსი, არამედ ასეულობით, ვაჟა ეგრისელის მარტო ორ წიგნში „მოლოდინი“ და „შეიბნ მახვილი“, რომლებიც 1988-1990 წლებში დაისტამბა, მოთავსებულია ათასზე მეტი ღექსი-გვირისტი.

ღექსი-გვირისტი (მიეკუთვნება თუ არა მას ეს სახელი, მომავლის საქმეა) ვაჟა ეგრისელმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში და რა სახელიც არ უნდა დაერქვას მას სულ ერთია, – მისი შემქმნელისა და შემოქმედის სახელს ვეღარ მოიშორებს და მუდამ ატარებს, ისევე, როგორც რონსარის სახელს ატარებს მის მიერ სამასი წლის წინ შექმნილი ღექსი.

ვინ იცის, ვაჟა ეგრისელის მიერ შექმნილ ღექსის ნოვატორულ ფორმას იქნებ სულაც ეგრისელი ან ეგრისელისეული დაერქვას?

თავი მემკვსე

სახიმიტყველება

ვაჟა ეგრისელის ღექსების წიგნს მკითხველი შეჰყავს სახელთა სამყაროში, სადაც საგნები და მოვლენები, წარსული და აწმყო ერთიანდებიან ცნო-



ბიერებაში და განგაწყობენ იყო მათთან შენივული ყველა ნერვით, განიცადოთ ისინი სხეულში განლაგებული ყველა რეცეპტორით, გრძნობის ყველა ორგანოთი.

პოეტი ერთ-ერთ თავის წიგნს „ნათელხილვას“ არქმევს სახელად. ალბათ ამ სიტყვაში სახითმეტყველებას გულისხმობს.

დიდია სახითმეტყველების ძალა:

„გადიქროლებს წარსულის ლანდი

და გამოაჩენს სისხლიან კლანჭებს“.

გადიქროლებსო – ფეხადგმულ და ფრთებშესხმულ არსების შესახებ ითქმება.

წარსულის ლანდი – აჩრდილთა ნამყოსი.

სისლიანი კლანჭები – ბრჭყალებია, მტაცებელი მსხვერპლის სისხლით რომ მოითხვრის.

ყველა ერთად – სათქმელის სურათოვანი, ხატოვანი განსახიერებაა.

ამ ლექსის მომდევნო სტრიქონებიც ასევე სახიერად წარმოაჩენენ მას, რაც პოეტმა განიზრახა მკითხველს გაანდოს.

„წარბებს შეიკრავს და მოიწყენს

გრემი და ოშკი

და გააყოლებს ომის კვამლით დანისღულ

თვალებს...“

აქ გრემსა და ოშკს, საქართველოს თვალწარმტაც ადგილს წინაპართა ჩვენთა მიერ იქ აღმართულნი კაცად ქმნილი ტაძრები განასახიერებენ. კა-



ცადქმნილი-მეთქი, იმიტომ რომ, თუ უსულო ქვევს ადამიანურ სულს არ ჩებარავდა პოეტი, ვერც მის „წარბის შეკვრასა“ და „მოწყენას“ შეგვახედებდა და ვერც იმაში დაგვაჯერებდა, რომ ტაძრებს გარდასულმა ბატალიებმა თოფის კვამლით დაუნისლეს თვალები დას ახლა ეს თვალები წარსულის ღანდის გადაქროლებას მიაყოლებენ მზერას.

სახეებში ამტყვევებულმა სურათმა, რომელიც მძაფრ ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, შეადლებინა პოეტს ლექსის ფინალი ჩამოეყალიბებინა:

„მე კი, – მამულო! –

სიყვარულის ცადამწვდენ კოშკში
გყვარ და....

წამით არ მიშვებ გარეთ“

სახითმტყვევება გრძელდება ფინალის ბოლო წერტილამდე: მაღალ სიყვარულს მაზიარეო („სიყვარულის ცადამწვდენ კოშკში გყვარო“), მიმართავს პოეტი მამულს, სამშობლოს მისას და ხსნა ამ სიყვარულისაგან არ მიწერიანო („წამით არ მიშვებ გარეთ“).

მოდით, ჩემო კარგო მკითხველებო, ერთ მთლიანობაში აღვიქვათ ეს ლექსი, რომლითაც ვაჟა ეგრიოსელის წიგნი „ნათელხილვა“ იხსნება და მერმე ვილაპარაკოთ მის თავისებურებაზე, რასაც ესთეტიკური ზემოქმედების ძალა გააჩნია:



გადაიქროლებს წარსულის ღანდი
და გამოაჩენს სისხლიან კლანჭებს,
წარბებს შეიკრავს და მოიწყენს
გრემი და ოშკი
და გააყოლებს ომის კვამლით დანისლულ თვა-
ლებს...

მე კი, – მამულო! –
სიყვარულის ცაღამწვდენ კოშკსი
გყავარ და....
წამით არ მიშვებ გარეთ.

უპირველეს ყოვლისა, თვით ესთეტიკურის რაო-
ბის შესახებ. უხერხულიც კი უნდა იყოს ამაზე ლა-
პარაკი, მაგრამ ესთეტიკური ბევრჯერ არა გრძნობა-
თა სფეროში, არამედ აზროვნების სფეროში გადა-
აქვთ და, რადგან გრძნობაცა და აზროვნებაც ორივე
სულის, ფსიქიკის საბრძანებელში არიან მათ ვსებუ-
ლი, შესაცნობ, გარკვეულ ზღვარს მათ შორის არ
ავლებენ. ეს ცნებათა აღრევასა და გაბუნდოვნებას
იწვევს.

ესთეტიკა სხვათა სიტყვაა და გრძნობას ნიშ-
ნავს, ესთეტიკური კი ისაა, რაც გრძნობას შეეხება
და განეკუთვნება, ანუ გრძნობისმიერია. ამიტომ ეს-
თეტიკურ ზეგავლენას ლექსის შინაარსი კი არა ახ-
დენს ადვიანზე, არამედ ლექსის სახითმეტყველება
ლექსში დახატული სახე არსისა თუ მოვლენისა.

ორიოდე სიტყვა გრძნობების შესახებ.



რამდენი გრძნობა გვაქვს ჩვენ? ხუთი? რა თქმა უნდა, მეტი. მოლით, ნუ დავითვლით მათ, – სახელეუბოთ მოვნიშნოთ და რაც მეტი გამოგვივიდეს, ისიც არ ვიკმაროთ, რადგან ჩვენში არსებულ გულის, სულის, ტვინის აგენტებს, ყველაფერს რომ დარაჯად უდგენან, რაც ჩვენს გარშემო ხდება ან ჩვენს შიგნით მიმდინარეობს ჩვენი აზროვნების მიღმა (ავტონომიურად), ვერავინ ჩამოთვლის და მონათლავს.

დავარქვათ სიყვარულის გრძნობას მეექვსე გრძნობა. ლექსში მამულის სიყვარულზეა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენზე ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს არა ის, მასში აზრობრივად რაცაა მოცემული, არამედ ის, ხატოვნად რაც დავინახეთ, წარსულის ლანდი, მისი სისხლიანი ბრჭყალები, წარბებშკრული და მოწყენილი გრემი და ოშკი, მათი დანისლული თვალები და სიყვარულის ცათამჯენი კოშკი.

კოტე მელაშვილი

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

*ნაწევები წიგნიდან – პოეზიის
სამყაროში სამოვ ზაუროდ*

გავრძელება შემდეგ ტომში



დილა

დამით ვარსკვლავთა ხელით ნაწერი
 ცა გადაშალა,
 როგორც ბიბლია
დილამ...
 და მერე ვით ტიციანმა
 წითელი მიხაკი
მზე მიიბნია...
 მკერდზე.

1975

* * *

სიმყუდროვეში არჩანს არავინ,
მთები კი ისევ დგანან
მთებურად,
თითქოს გოლიათი
აქლემთა ქარავანი,
თოვლის უღრანში
გაქვავებულა.

1964



* * *

რადაგნაც მეცხრე ცისკენ იურვი,
სიყვარულით ხარ
აღბათ მოსილი,
მარტოსული და მარად ეული.
მხოლოდ ფრთები ხარ
აღბატროსივით.
და ქერუბიმი უხილავი
და უსხეულო!

1979



ორი კვიპრიანო

ათასწლეულების მერე,
მათი სახე,
ისევ თვალწინ მიტრიალებს.
ვინც რწმენისთვის ეკლესიის
კართან გვემეს!
აი, ახლა, ღვთის ტაძარში
სანთლებს ვუნთებ –
ორ დიდ მამა – კვიპრიანეს:
ერთს – რომაელს¹
და მეორეს –
კართაგენელს².

1965

¹ კვიპრიანე რომაელი (I ს.)

² კვიპრიანე კართაგენელი (III ს.)



სოფელში

მამლები ისევ ყვირიან დილას,
მნათობები კი
სიშორეს დუმან,
მაგიდაზე დევს კანტი და დიდრო,
მაგრამ შენ მაინც
მთვარის შუქზე
კითხულობ ჩუმად,
ბაღას-ბაღასის იეროგრიფებით
ნაწერ დიდ მინდორს.

1956



ეკლესია

მზე,

მთვარე და ვარსკვლავები,

უფლის რწმენა და ფესვია.

ცაში – ღმერთს ვჭვრებ,

ვით მისანი.

მე, „კოლხური“ ავაშენე ეკლესია,

„მას ვერ დაძლევეს

ბჭენი ჯოჯოხეთისანი“. (მთ. 16, 18.)

1979



* * *

სანაპიროზე მოისმოდა ზვირთთა
ყაყანი,
ტიტვლებს ხმელეთზე
სურდათ ამოსვლა.
და სივრცე ჰგავდა ღამის ზმანებას.
მე,
მოვინდომე ზღვის,
ბავშვივით
ხელში აყვანა,
მაგრამ გრიგალმა არ დამანება!

1970



რომი

სადღაც ბატების ისმის ყაყანი...
ასწლეულებმა რომის ცაზე
გადაიგრვიანეს...
დუმს პონტო!
ათას მძიმე ომში
ღამე-ნათევი...
და რომს, რომ ადგას თავზე
გვირგვინად,
ის – მითრიდატე პონტოელის
არის ნათელი.

1969



300 ღმერთკაცი

ჯოჯოხეთის მომლოდინე,

სამოთხიდან გამორბოდი...

და გიხმობდა შენ მზის სული.

ვით ღმერთკაცი –

თხემს გოლგოთის,

კვლავ კოლხეთის ხარ

მიღურსმული.

2010



რვა-კიბელა,

მეფეა

ქვეყნის გაჩენის დღიდან,
ვინც რომ ათასწლეულთა,
უღრანებს კვლავ მიბელავს,
ქალთაშორის პირველი –
არის რვა-კიბელა*!

მეორე კი – ვისიც რომ,
ნაშიერი ადამის ახლაც
მოიმედა:

(არც ჰერა,
არც ათენა.)
გახლავთ კოლხი მეფეა!

1958

* რვა-კიბელა (ბერძ.) – დიდი დედა, ღმერთების დედა, ურანოსისა და გეას (ციხა და მიწის) ასული.

1000 წლის მერე

რადგან მიწიერს გადაამეტე,
ცბიერ დრო-ჟამსაც
მტკერი აღინე
და ვით დილის მზე ისევ იზრდები...
1000 წლის მერე,
ვით ლეგენდა და
სინამდვილე,
მშობლიურ ცას და უცხო პლანეტებს
და შორ სივრცეებს
დაესიზმრები.

1959



ქარიშხალი ზღვაზე

მიმწუსრიდან –

დილაძე,

ზღვა ქარიშხალს როშავდა!

მერე ღელვას გაყვა და...

საღამო ხანს,

როდესაც,

ცად მთიები აყვავდა,

ისევ უკან მოშავდა!!!

1953



* * *

ვით რომაელთა ლეგიონები,
ზვირთთა ლაშქარი მოიზღაზნება,
(როგორც წარსულის შურისგება
და საზღაური!)

გრიგალი გრგვინავს:

ნუ დაზარდებით!

და... დიღამდე ისმის ქღარუნი:

მთვარის ფარის და

ვარსკვლავების მუზარადების.

1963



საწუთრო

ამ წუთისოფელს –

საწუთრო რომ ჰქვია

სახელად!

ყოფნას, არ ყოფნა,

აბა, როგორ უნდა

გვერჩიოს?!

რაა სიცოცხლე,

ერთი წამით თვალის გახელა,

მერე დახუჭვა...

და წყვილადი სამიდღემჩიო...

2016



მოლოდინი

უსასრულობის –

არჩანს ნაპირი,

სადაც სინათლის –

წელი ათასი,

აღწევს...

ვერ აღწევს...

მაინც ადის მზის.

შენ ცა მიგელის იქ უსასრულო,

აყვავებული...

და მარადისი.

2020



სიცოცხლე

ისე,

ვითარცა ჭიამაია,

დღის ღერძზე ზის

მზისკენ მიცოცავს,

და ცაში მიაქვს მწუხრის

ფერები.

ო, რა კარგია ჩვენი სიცოცხლე,

სანამ სიკვდილი

მოეფერება!

2019



* * *

ვახმე!

ძნელი ყოფილა –
თან თესდე და
თან მკიდე!

და უძლებდე მაგიებს.

მაინც, შენ იმ მუხაზე,
ურჩხული რომ იცავდა,
იმ „საწმისის“ მაგიერ,
„ფსალმუნები“ დაკიდე.

1994



გ ა თ ე ნ ე ბ ა

მიმწუხრიდან სურდათ მთიებს,
წედიაღში თვალის გახელა.
სადღაც მოვარე ჩნდა
უტკვანს.

როცა დილამ მზე –
წითლად ამოახველა,
დამემ სული განუტევა.

1969



ადამიანი მოვარუბე

ხუთიათასი წლის წინ,
როგორც გაღვამეში¹
აქ ჭალაში არესის,
ისე,
ახლა,
უკვდავების
წყალს დაეძებს,
ადამის-ძე მოვარუბე.

1962

¹ გაღვამეში – შუმერთა მეფე.



აზრები

ყულევთან რომ ირევინ
და ზღვა გაუაფთრებიათ!
ფრთა ქათქათა თოლიები
თუ...

მითრიდატ პონტოელის
ხომალდების აფრებია?!

1954



ვით თქმულება და ლებენდა

ვაჟავ! –

ეს შენი სახელი,
უფლისგან არის წვეული,
(კოლხეთში ზღვად რომ შედედდა!)
გაყვება ათასწლეულებს,
ვით თქმულება და
ლებენდა!

1993



ვერ შევიწყნარებ

ყოველთვის,

დილით თუ საღამოთი,

რადგან დღეები ყოფნას

მირწყავენ!

და ბედისწერამ თუ დამარისხა –

გულს გადაუხსნი

ქარს და ქარიშხალს,

მაგრამ სიკვდილს კი...

ვერ შევიწყნარებ.

2020



შიქრი

„ოქროს საწმისის“ ძეგლით
გადაღლილს,
რომ ამიბნოს ისევ გზა-კვალი,
როცა მომავლის –
დამირჩება ღიად
კარები,
დროს იხელთებს და ფიქრი –
მზაკვარი,
ძველი კოლხეთის –
წარსულისკენ
გამეპარება!

1958



ეს სიყვარული

ვინ იცის,

იქნებ ჩვენს სიახლოვეს,
დაადგეს ჩრდილად კვლავ
მზის არილი

და სამუდამოდ ერთურთ დაგშორდეთ.

ამიტომ მინდა –

ჩვენს ხსოვნაში
დავამარილო,

ეს სიყვარული,

რომ არასდროს

ადარ აშშორდეს.

1979



დიდება

ვით ცისარტყელა –

ცას და მიწას შუა,

აღბათ ოდესმე

გაეხიდები!

(რადგან ქელს აღარ იხრი!)

აბა, რა შავ-ქვად გინდა

დიდება,

ნეტა,

რა თავში იხლი?!

2020



წუხილი

მიწაში მიწვეს ექვსი ძმა,

ორი და...

სიკვდილს არ ვუწონებ ნაქნარს!

მეც რიგს ველოდები...

და აღარ მოვიდა...

რა წყალში ჩავარდე!

რა ვქნა?!

2020



მთვარე – კეპლი

ვითრც იმედი კაცობრიობის

მზე,

როგორც ჩავა,

ისე ამოვა.

ვჭვრეტ ჩემს ორეულს

გვირგვინ-ეკლიანს.

ცა-ვარსკვლავების –

სასაფლაოა

და მთვარე კი – ჩემი ძეგლია.

1993



* * *

გაჩენის წუთიდან,
წამით არ გეშორდება,
დაგვდევს ფეხდაფეხ...
და აღარ ისვენებს!
(მისთვის ერთია ზღვები
და კორდები!)
ვინც მოგვცა სიცოცხლე,
ის გვართმევს ისევე.

2013



ისევ კოლხეთი

იდგა კოლხეთი პონტოს ზღვისკარად,
და ჰელიოსის მზისებრ
ყვაოდა...
(ქედს კი თვით გამჩენს აღარ
უხრიდა!).

აი,
ახლა კი ოქროს ვერძის
ისმის ბლავილი,
ჭაღას არესის –
უსაწმისოდ მდგარი
მუხიდან
და პონტოს ზღვის სასაფლაოდან.

1961



ცისე გოჯი

ძველ სენაკთან –

დავიწყების მქრალი ნისლი
დედა – მოკას და ტეხურას –
მანდილივით თავს ეხურა.

ციხე-გოჯი იდგა მყარად,

შეგვეგება კვლავ მეხურად!
მაგრამ მისი წარსული კი...
გაგვეპარა!!!

1994



* * *

მოულოდნელად მების ძხილზე,
გაფერმკთალებს უცებ
შიშვით –

მთვარე –
ზეცათა დიდი მეურვე,
მოვა მწუხრი და...

როგორც ღვთის შვილის –
შენს სახელს მნათთა
მრევლში შეურევს.

1970



ტაშის კარი და მარტყოფი

აწი მაინც ცისქვეშეთში,
ვით ხეებმა ცნობადის და
საქსასულის,
ისე, როგორც ტაშისკარმა
და მარტყოფმა,
უნდა იდღესასწაულოს –
საქართველოს –
უკვდავეოფა...

1989



მზე

ამობარჩხალდა და მიმწუხრამდე
გაასხივოსნა სამყარო მთელი.
მერე მოსწყინდა –
უსამანო ცაში ხეტება...
და დააპირა ჩასვლა მაგრამ...
დღემ საყელოში ჩაავლო ხელი
მზეს და...
დამეში ჩასასვლელად არ ემეტება.

1965



**ჰელიოსი,
იბერიონი**

ვითარც აფსუას,
სამტროდ ველი ოსს!!!
ვთხოვ, დახმარებას
მზის ღმერთს – ჰელიოსს
და მის მამასაც –
კოლხ იბერიონს,
სამშობლოს მტრები
მომიგერიონ!

1993



ცა – ვარსკვლავებით მორწყული

მზე არჩანს,

მაგრამ მთოვარე,

დაგვეურებს მადლით

მორწმუნის.

კოსმიურ იღუმალებას –

გვიგზავნის უფლის

თვალებით

ცა –

ვარსკვლავებით მორწყული.

1987



* * *

ზღვას სურს აფრენა,
მაგრამ გადაღლილს,
ადარ შერჩა ალბათ
ობსილა!
ცივი ტკაცუნი ისმის აფრების –
შენ კი, ფრთებს ვერშლი
ალბატროსივით,
რადგან არგეოფნის სივრცე
საფრენად!

1968



* * *

კოლხეთის დიდ წარსულს მოჰგავს,
ვარსკვლავების შადრევანებით,
მშვენიერი არე ცის.

და მთვარე კი –

„ოქროს საწმისს“,

რომ ეკიდა იქ –

ჭალაში არესის.

1963



ღელა

უშენოდ მზემაც დაკარგა სითვო,
იმედის სხივიც აღარ
ციმციმებს.

მოვდივარ შენთან და საფლავის
აბორცვილ მიწას,
ხელს გადავუსვამ და
ამით თითქოს,

ღელა,

ო, ღელა, გიმსუბუქებ
მიწის სიმძიმეს.

1983



ცაზე მნათთა წარწერები

ჩემს კოლხეთში –

ზღვისკარად –

მზის,

მთვარის და

ვარსკვლავების

აკვნები აქ დაირწა!

(მთები ახლაც არწვევენ...)

და კითხულობს დედამიწა

ცაზე –

მნათთა წარწერებს.

1959



არბო

ზე-ცისკენ ლოცვად მიიწევს ვაზი...
არესისა და კირკეს
ჭალები,
დალატის ყვავილის
კვლავ ასარებენ...
უცხო ხომალდი ჩავარდნია
თვალეებში ფაზისს,
ისმის ბღავილი აიეტის
რკინის ხარების.

1965



პლუტონი... და ანდრომედა

შორეულზე –
შორეული,
ცრემლის წვეთი რომ ეპკუროს,
მრჩება განცდად
და იმედად,
(არცა მთვარე, არც მერკური!)
ერთადერთი პლუტონია* ...
მეორე კი ანდრომედა.

1973

* პლუტონი (პლანეტა) – დედამიწიდან ექვსი მილიარდი კმ-თაა დაშორებული.



მ ა შ ი ნ ...

როს მოგესმება ძველ კოლხეთიდან,
 ოქროს ვერძების
 ოქროს ბლავილი,
 მაშინ „ფსალმუნით“,
 ვით შედეას ჯადო ყვავილით,
 განკურნავ ქვეყნად
 სიყვარულით –
 უღუთოდ სნეულებს,
 და ეგვიპტიდან მზირალ სფინქსივით,
 ფეხქვეშ დაიფენ ფიანდაზად
 ათასწლეულებს.

1984



* * *

ის მთვარეები და ვარსკვლავები,
ცეცხლოვან გულებს
ადარ აჩენენ,
სახეს მალავენ ცა და
ცის-ცები.

მე კი,
რაღა ვქნა! –
დღიდან გაჩენის,
უცხო პლანეტებს და
სივრცეებს ველაციცები.

1960



**ხილვა: ბაღვაშები,
ჯაყელები**

მცხეთას,

წარსული წამით იელვებს,
და ვჭვრეტ – სამშობლოს
მტრებს...

ამჯანყელებს!!!

მეფეთა ერთგულ ფშაველთ,

მთიელებს
და მოღალატე ბაღვაშებს და
ამაყ ჭაყელებს.

1989



ქეღები

„მოგესალმებით ქეღებო,
მომაქვს სალაში გვიანი“.
ვაჟა-ფშაველა

შემოდგომის ცას დარჩენია ღია
კარები
და სისპეტაკედ ჩამოდიან
ციცქნა ფიფქები.
მთებს დარდისფერი ჩუმად ეღებათ!
წელგამართულნი დგანან
ქეღები,
და სიბერეს არ იკარებენ.

1979



ელვა

ადრე ბინადართ პონტოს ზღვისკარად,
ველარა აგნებს ადგილს ხეთების.

(თუმცა შორ წარსულს

ბევრჯერ შეუვლის.)

და ცაზე ელვა დაეხეტება.

უამთა უდრანში

გზა დაბნეული.

2017



კოსმიური ხმები

დედამიწას კი არა,
მთელ კოსმოსს
რომ ფარავენ,
შენ რომ გესმის ის ხმები,
სულდგმულთაგან –
ამქვეყნად,
არ სმენია არავის...

1959



წყარიშმაფა

სობისწყლისპირ ჩამომჯდარი,
სიყვარულით გულდამწვარი,
კოჭებამდე ოქროს თმებით,
წყალს ჩაცქერის
და სულს ღაფავს
ადრე ყმაწვილთ გადამრევი –
წყარიშმაფა*.

1962

* წყლისდედოფალი.



**ხილვა: წმინდა გიორგი,
კოპალა**

წმინდა გიორგის შეწევნით,
გერგეტის მთაზე ავიდა,
მერე ღმერთს ცეცხლი
მოპარა,
პრომეთეოსმა კი არა,
ხეთისშვილმა –
დიდმა კოპალამ.

1964



* * *

ვფიცავარ ცას და ბუნებას,
მტრისთვის ვარ შეურიგალი,
რადგანაც მიყვარს,
ნიადად,
ჩემს გულს კვლა
ესალბუნება.
მისი შავი ზღვის –
გრიგალი.

2019



მუხა

ათასწლეულების მერე,
შენ კოლხეთის წარსულს წუხარ
და ცრემლიან არეს ცის,
რადგან ურჩხულ მოდარაჯე
შენ ხარ მუხა,
მდგარი ჭაღას არესის.


1957



წარწერა ქვაზე

ჩემი ამჟვეყნად მოსვლისთვის,
ვინაც მუხლმოყრით
ილოცა...
ვერ შეეძელ ძეგლის აღმართვა,
რადგან სიცოცხლე
ვინც მომცა,
მან,
უცებ უკან წამართვა!!!

1961



შენი მთა

მთარისა და მზის გარდა,
დღეებსა და ღამეებს
არ ჰყოლია სხვა დგმური.
შენი მთა კი ცას წვდება,
ფესვი –
ქვესკნელს ქვემოთაა აქვს
გადგმული.

2020



ღრო

ღროა ჩვენი სრა-სასახლე,
ვარსკვლავების ჭაღით,
არც მზე,
და არც მთვარე,
თვით სიშორეც
არ არსებობს,
ღროდაუამის
გარეთ!

2001



* * *

ვინაც, რომ შექმნა სამყარო,
მთებიც თვის ტაძრად აზიდა.
„მორიგე ღმერთმა ხვთისშვილნი
დასხა გერგეტის მთაზედა“.
აი, ამიტომ ივალობს
მიღეთი –
ქართულ ხმაზედა.

1963



ზღვის სასაფლაო

გადაუწალავს ქარს და

ქარიშხალს,

ცის ლურჯი ყანა ჩნდა

მომკილივით.

თუმც ვით გვირილა

მთვარე ყვოდა...

და მოისმოდა თოლიების

წივილ-კივილი.

ზღვის შავის შავი

სასაფლაოდან.

1960




ფრინველების გადაფრენა

გადაუფრინეს მთებს და
მწვერვალებს,
თუმც მშობლიური წვავთ
აგონია...
მაინც იზიდავთ ფრთოსნებს
ზე-ყანა.

შეცქერი მათ და...
ასე მგონია:
თითქოს და სადღაც –
ერთად მიქვთ
ცა და ქვეყანა.

1968



ქართული მთები

გამოგვეურებენ ზეციდან

მთები –

მოსილნი ჭაღართ,

ვითარცა თავდავიწყება.

მაგრამ ცა უფრო მაღალი,

იქ არის,

სადაც ზღაპრული,

ჩემი კოლხეთი იწყება.

1958



ნისაბა

ვით „დელოფალს ქვესკნელის“.
და ზესკნელის მისაბამს,
უთვალავი წლის მერე,
„კოლხურ ფსალმუნს“,
ვით ლოცვას,
კვლავ აღუვლენ ნისაბას*.

1967

* ნისაბა (შუმ.) – „სიბრძნის სახლის გამღები“,
დამწერლობისა და მცენარეულობის მფარველი
ქალღმერთი.



ნაპერწკლები

ჩემი სამშობლოს მკვიდრი მთებია,
ცაში ლოცვით რომ
ღამესათევენ.
ღმერთს რომ მოსატაცა
ცეცხლი პრომეთემ,
სწორედ იმ ცეცხლის –
ნაპერწკლებია,
ფრთებით რომ დააქვთ
ციცინათებელს.

1964



* * *

გადაუელვით სამყაროს...

ცას –

მუხლზე მთვარე დაკერილს.

ხელებს გიწვდიან ზღვები და...

გელაციცებათ მთა-ველი.


შენ...

და ის – ბრძენი ფშაველი,

ერთ – მზის გრდემლზე ხართ

ნაკვერი.

1961



ხილვა: გერგეტის მთა

მიყრილ-მოყრილი ჩანს მთები,
დევთ ნამუხალრი –
ხევებით,
კლდეებით ერთურთს მიშლილით.
გერგეტი მაღალ
მთის წვერზე
დგანან ლოდმყორცნელ
შურდულით,
დევთა მუსრავი ხეთისშვილნი.

1963



ნათელი

დიღის ღოდინში ღამენათევი
მას ელოდება მთელი
მსოფლიო,
და... ცისკრისას მზე,
რომ ამოდის,
დედა – შენი არის ნათელი,
მას, სურს სამყაროს
შუქი მოფინოს...

1983



მეოცე საუკუნე

როგორც სასწაულს ისმენ

„ჩაკრულოს“

და კოსმიური მუსიკა გართობს...

(თუმც შეიცვალა ბევრჯერ დროება!)

მაინც, მზის შვილი,

მხრებს ვერ შლი ფართოდ,

რადგან მეოცე საუკუნე

გვეიწროვება.

1989



ხილვა: ფშავ-ხევისურეთი

ჩამოლუსკუმა ქვეყანა,
შენ კი გინათებს მზე-ბნელი,
რადგანაც ფშავს და
ხევსურეთს,
თეთრ ფრთიან ყურშა
ბროლიას,
სიმყუდროვეში ვინც ზრდიდა,
იმ ორბისა ხარ მძებნელი.

1963



ზიზი

მიედინება უამური უამთა
მდინარე...
იდუმალ გვითრევს დღეთა
მორევი,
ძირს ქვესკნელში...
ცად მთვარის ნიში.
ძნელი ყოფილა თურმე ორივე –
აამადლების და...
დაცემის შიშიც.

2019



ქრისტე და გოლგოთა

საქართველოსთან!

ხსენება მონგოლთა!

თვალწინ დაგიდგებათ,

ქრისტე და

გოლგოთა...

1989



**შაში არაბში,
თეთრი არაბში**

მზე იყავ ჩემთვის მზისადარ,
რომელიც შავეთს ჩავიდა...
„ძადლიყოს თქვენი
მკვდრისადა“,
ხმა არაგვიდან მოისმის,
თეთრიდან არა,
შავიდან.

1963



პოეტი – ლეგენდა

შენ საუკუნე მეოცე,
ვით იმედს შემოგეკედლა,
თუმც ცას ღრუბლები
ფარავენ.

და... ვითა პოეტ –
ლეგენდას,
მზის გარდა გხედავს...
არავინ!

2020



2000 წლის 31 დეკემბერი

მოინავლა ეს ათასწლეული,
ღამეა,

დეკემბრის დამლევი!

და ძველი ახალ წელს შეუვლის,
ეტყვის მსვიდობას...

და მერე,

განთიადს იყივლებენ მამლები.

2000



ხილვა – ხევსურეთი

არც კოპალა ჩანს,

არც იასხარი,

აუბობოქრა მწუხარებამ

მთებს სული,

თუ ავის მაცნე ცივი ქარია?!

– არა,

ლომებზე მჯდარი ხევსურნი

ხმლებს იქნევენ და...

მეფის საშველად,

ბარისკენ მიიჩქარიან!

1989



* * *

შორს,
პლუტონს იქით,
სადაც ცა და მიწა ერთდება,
იქ ბინადრობენ –
ჩემი ღმერთები!

1960



* * *

დღეს დარჩენია ღიად კარები
და ღრუბელ-ღრუბელ
სადღაც დასავლით,
კვლავ ფეხაკრეფით მიიპარება,
მოვარე – ქვიშორი,
ცამ – ვარსკვლავებით
განაცხადა
თავის სიშორე.

1968



აჯა

სანამ უფალი განმჯის,
საშველად ვუხმობ ჰერმეს*,
ესმოდეს ჩემი აჯა.

ვაჰ,
თუ არ ვიყო მერმის,
– გაფიქრებაც კი
მტანჯავ!

2020

* ჰერმესი (ბერძ.) – ღმერთების შიკრიკი.



**ხილვა: წმინდა გიორგი,
პირქუში,
იახსარი**

საარაგოსთან საავდროდ
შეყრილან დევნი –
უგნურნი.
აყროლებული ღაშებით,
გერგეტის მთიდან –
ხვთიშვილთა
ჭიხვინი ისმის რაშების,
საყმო ღაშქარს წინ
მოუძღვით:
დევთ-მძლევი წმინდა გიორგი,
პირქუშიცა და
შუბნურიც.

1961

ოსკ ლოდინი

ბლაგვი გახადა ბასრი მახვილი,
ფარისეველობამ
და ცბიერებამ.
ცაზე დაკიდა ღამის ფარდები.
შენ კი მოელი –
გაციერებას
და მერე უფრო გალაჟვარდებას.

2020



უცხო ხმა

საიდანღაც ხმა ისმის:

ავსულებს –

არული!

ამქვეყნად ადამის ნაშვიერს,

ერთმანეთის სიყვარული,

მოაწყურე...

და მოაშიე!

1989



ვედრება

ჯოჯოხეთი!

სამოთხე!

ჯანდაბაა თუ სულეთია!

როცა სული ამომხდეს,

ვიყო შენს –

სიახლოვეს,

სხვა დანარჩენი...

სულერთია!

2020



იასარი და კოპალა

სანამ არ იყვნენ ხეთისშვილნი –
იასარი და
კოპალა.

მთიულეთს,
ფშავს და ხევსურეთს,
ავსულებს ჰქონდათ ღრეობა.

(მათი ნახლეჩი კლდეები,
ძველია,
განა ახალი.)

ახლაც ატყვია ხეობად,
მთებს დევთა ნამათრახალი.

1958



აჯა

სანამ უფალი განმსჯის,

საშველად ვუხმობ ჰერმეს*,

– ესმოდეს ჩემი აჯა.

ვაჰ!

თუ არ ვიყო მერმისს,

– გაფიქრებაც კი...

მტანჯავს.

2020

* ჰერმესი (ბერძ.) – ღმერთების შიკრიკი



ხილვა: აიეთის მთვარის სასახლე

ფაზისის პირას –

ცადაწვდილი

ციხე-კოშკები,

ისევ ივსებენ შუქით უბეებს...

ცაზე ღრუბლების

არჩანს ნასახი.

და ვარსკვლავების მოელვარე

ოქროს შუბებით,

ღამე დარაჯობს აიეტის

მთვარის სასახლეს.

1964



კუპრის ცეცხლი

ათასჯერ ნათქვამს

კვლავ ვიმეორებ,

არაფერს არ ვამბობ

საკვირველს.

სხვას არა, ვით ქრისტე,

მივმართავ ჩემიანს:

კაცთა ცხოვრება არის საკირე

კუპრი, ცეცხლი და

გეჰენია.

1999



300 ანთოსი

პოსეიდონის¹ და გეას²,
გმირი შვილი ხარ,
ვით ანტეოსი³,
სტუმარი საუკუნის მეოცის.
ამოსული ქვემოდან –
ცხრასკნელის
და... ახლა ვარსკვლავებს –
ასკდები.

1993

¹ პოსეიდონი (ბერძ.) – ზღვის ღმერთი

² გეა (ბერძ.) – მიწის ღმერთი

³ ანტეოსი (ბერძ.) – მითილოგიური გმირი



სასაფლაო

იმ დღეს კი არა!

ვით შეჰფერის ნამდვილ
მასპინძელს,
როდესაც დილას გულში
გაიფლებს,
წამს სასაფლაო იხსნის
საკინძქეს
და აჩენს,

გუშინ, გულზე დაყრილ
ღამაზ ყვავილებს.

2017



ადდი

ქალაქებს – ბაბილონს,
ბორსიფას,
ჭექით და ქუხილით გადადის,
და პირს მთასა თუ
გორს იბანს.
შემერთა მრისხანე ღვთეება
ანუს* -ძე ადდი.

1965

* ანუ – ცა (შუმ), „ზე-აღსახედელი“. საბა) სამყაროს და
ღმერთების მამა.



აზრიბა

ადამის მოღვმის შავმა ღირსებამ,
კილიმანჯაროს მაღალ მთებში
ჰპოვა ღიობი,
რომელიც მერე არვის უხილავს!!!
ჰემინგუეის უეცარმა
თოფის ქუხილმა,
მარტო აფრიკას კი არაღა,
გაფანტა ჯანლი
ჯვარზეცმული კაცობრიობის

1962



კოლხეთის წარსული

მაშინ სხვა იყო მთელი სამყარო,
მაგრამ კოლხეთს და
მის ისტორიას,
მემატიანე გვერდს ვერ აუვლის.
ჰქონდა წარსული,
ვით სასწაული,
რომელიც უამმა
ლეგენდის
ზღვაში არწია
და მაინც დღემდე მისმა აჩრდილმა
ძლივ მოაღწია.

2012



* * *

ბუნებას ყური ასი აქვს,

რაღაა ღოცვა ფარული!..

გამხმარი ჩაღის

ფასი აქვს:

უსიხარულო –

სიხარულს,

სიყვარულს –

უსიყვარულოს.

1961



არათა

ქალაქს,

ბადაღს ურუქის,

საუკუნე სამოცს ვეძებ

მთად და ბარადა...

ვერ ვპოულობ!

არადა,

ვიცი დანამდვილებით,

იყო შუმერთ ქალაქი –

არათა*!

1959

*„ფიქრობენ, თითქოს იგი მდებარეობდა აწ „ურმიის ტბასა“ და კასპიის ზღვას შორის“.



* * *

მთებზე ქედები დგანან ლოცვებად,
ღამეა ბნელი,
ჩუმი და ბეცი.
არაჩანს ქრისტე,
აღარც ლუკა და აღარც მნათე!
ვერვინ დაუშლის ჯურღმულში
ზეცის.
უგზო-უკვლოდ ხეტიალს –
მნათებს.

2004



ვაშინერს

სამყაროს შექმნელი ერთია!
და მასზე ეჭვი –
„ვაშინერს!“*
ჩვენი ყოფნა ქერცლი და კერეჭია!
რადგანაც –
ადამის ნაშიერს,
ჯერ მატლი ჭამს და...
მერე ჭია.

2019

* ვაშინერს – ტაბუ ადევს, აკრძალულია, არ შეიძლება.



შუმერი

„ო, შუმერო*,

დიდო მთავ,

ცის და მიწის მადლით და

ღვთიურ შუქით მოხილო!“

უზომოდ შოთრეულო!

მაგრამ ახლა სენაკო,

ეკის მთავ და

ნოსირო.

1963

* შუმერი – (აქადური სახელწოდებაა). მითოლოგიურ ტექსტებში წარმოდგენილია სამყაროს შუაგულად.



* * *

მეფე დავითმა –

შაირმთხველმა და

მეფსალმუნემ,

მერე საულმა

და აბრაამმა.

ამქვეყნიურმა საოცრებამ

და სასწაულმა,

სამყარო ესე ჯვარზე აცვა

და დააბრმავა.

1969



ერბასი – 50

უფლის ნაბოძებ –

ამ ცისქვეშეთში,

დღეები ალბათ,

ასე ივლიან...

მე, პოეტობას, რა ვქნა,

კვლავ ვჩემობ!

აჰა,

ერგასი დღეს მიიღია,

აკრძალულ ხილს რომ

ვუსინჯავ გემოს!

1991



მთაში

„ჭვინს, თუნს, მერეხანს, ბორია ირქენს
ჯეგეთას...

... ათეჯგურა უნა სერსი*
ჯეიშ გორუნს დვერე თხას“...

იყო ელვა და მეხთ-ტეხა,
ცას თვალზე ღამე ეკეთა,
და მთვარე,
სადღაც ღრუბლებში,
იმ მწყემსს ვამსგავსე,
რომელიც,
თავის დაკარგულ ბრმა თხას რომ
ეძებდა მთებში –
ჯეგეთას.

1956

*„წვიმს, თოვს, მერეხანს, გრივალი გლეჯს ჯეგეთას.
...ამისთანა წკვარამში თავის ბრმა თხას ეძებს მწყემსი“.
ხალხური

ანანაქები

ისინი „ქვენა ღმერთები“
და განა მართლა
საქებია!
მარდუქმა¹ „ქვესკნელს რომ
გაამწესა“,
მილიარდერები –
ანანაქებია!²

2012

¹ მარდუქი (შუმ.) – ბაბილონის მფარველი მთავარი ღვთაება.

² ანანაქები (შუმ.) – „ქვენა ღმერთები“, „შედარებულნი არიან“ პირველყოფილ ადამიანებს.



მუხლმოყრილი დგანან მთები:

აქეთ – ეკის,

იქით – ურთას.

მწუხრი მთიებს კვლავ გამოფენს,

ზედ მედეას ჯაღოს

ურთავს,

და კოლხეთის ზეცა მოჰგავს –

ხატს ოპიზრის ხელით ნაჭედს

და სასწაულს –

სასწაულთა.

1969



მაშინ,
 მითაუამში თურმე,
 კოლხეთს არა,
 მთელ სამყაროს –
(კვლავ გვიყვება პაპა ივანეს)
 განაგებდა ტყუპისცალი –
 ეგრი,
 გეგა,
 გოგა,
 გიგა.

1969



სადღაც გალაქტიკაში,
კვლავ ღამეა მზიანი
და იქ თეთრი მტრედით –
სული ჩუმად დაგოგავს:
დიდი მოდილიანის,
და ბრძენ ვინსენტ ვან გოგის.

1971



ბასილ დიდის ჰომილიებს

არსთგამრიგეს სანთლებს უნთებ,
ფსალმუნს გალობ...
მაგრამ მაინც,
საქმე ველარ მოილიე...
და ვით ლოცვებს,
კვლავ ჩურჩულებ
ბასილ დიდის ჰომილიებს.

1969



ამაყად და თავმომწონედ,

საიდანღაც ვიღაც ყივის:

– ეს იქნება ღალატო,

თუ "მეოთხე" არ მიუხვალ –

შოთას,

ვაჟას,


გალაკტიონს.

1999



ორიოდ ლექსი შეუბუმბლავი,
სხვა არაფერი!
ხმალი,
არც ფარი.
სამყარო თურმე დიდი წრე არი.
და შენი სული –
ვარსკვლავია მიუსაფარი,
სადღაც ცის ფსკერზე –
მარტოდმარტო რომ დარიალებს...

2001



ენგურსა და ეშარას

სადღაც ღამის უღრანში,
როგორც ნათლის ღვთაება,
მიჰყვებოდა მზე შარას.
რომ მარადის ებრწყინა –
ენგურსა ¹ და
ეშარას ².

1976

1 – ენგური – ღვთაება მარდუქის მიერ აშენებული ტაძარი (IV-III ათასწლეული)

2 – ეშარა – ღვთაება ენქის მიერ აშენებული ტაძარი (IV-III ათასწლეული)



სამოთხის მაღალ კარიბჭეს,
უნდა იხქითად მიაღგე!
მის მცველებს, როგორც
ფშაველამ,
შენც ბევრჯერ მტკერი აღინე,
რადგან არ ცნობ მათ
იადგრებს
და არც ცრუ კარაბადინებს.

1978



თუმცა ხლო იყო არსთაგამრიგე,
შენ კი სიშორის გწვავდა
აღმური.

შემოდგომის ცა ჰგავდა ნაწვერალს.
და...

მოკლე იყო შენი "ფსალმუნი",
ვით ტარკულიმეს* ბეჭდის
წარწერა.

1971

*ტარკულიმე – ხეთების მეფე (ძვ. წ. აღ. XI-X სს)



კოლხებსა და იბერებს

მეცხრე ციდან მოსულებს,
მთვარის არა,
მზის შვილებს –
კოლხებსა და იბერებს,
ახლოს არ ეკარებათ –
სიკვდილი და
სიბერე.

2001



არშის ციხე

შაჰის "შაჰსევანები"*

ქართლებს და კახელებს,

ექცეოდნენ უხამსად.

აბასს "გურჯისტანი" კი

სიზმარშიც აბოდებდა.

და... არაგვთან მიმოყრილ

ლოდებს ეხლაც ყრუ ხავსად –

ტანთ აცვიათ სპარსელთა

მთქმაცა და

გოდებაც...

1981

* შაჰსევანები – შაჰის მომხრეები, ერთგულები, შაჰისიანები



მგონის სული

ცით ჩამოსულს –

კლავს სიშორის ხვაშიადი
და მითიურ უცხო ფრინველს
ემსგავსის.

არ "რა"-ს ნავით,

არც მზის ეტლით,

როს მოკვდება...

მგონის სული

ცაში ადის –

პოეზიის ოქროსფრთიან პეგასით.

2001

*"რა" – მზის ღვთაება



დაკანკალებდა სიცივე,
თუმც ღამის შუა
კერასთან
იწვა ცეცხლი, ვით მოზვერი,
რომელმაც სული ჩაჰბერა
თიხას,
უფლისგან მოზელილს.

1969



მარადისობას გამოქცეული,
ჯოჯოხეთში და სამოთხეში
ერთად ნამყოფი,
მსურს შევეყარო, როგორც ცხრა-უცხოს –
ჩემი სიცოცხლის პირმშრალ
არყოფნას,
ვაჰ,
თუ წყურვილი
ვეღარ დაუუცხრო!

2009



ჯვარს აცვით ეგე

მოძმეთა შენთა ისმის ყაყანი,
ვიღაც გაჰკივის,
ვითარცა შლგვი:
– ის პოეზიის ფეოდალია
და არის ბეგი,
"ჯვარს აცვით ეგე!"

2014



გეხურა ელვით ცა დაკემსილი,
და მთა და ბარად
კეთილ მწყემსივით,
ეჰა, რამდენი ისალამურე, –
ლექსთა ტომები –
დადგი გორებად!
აღბათ სიკვდილი გეამბორება,
როცა იხილავს –
"კოლხურ ფსალმუნებს".

2002



კოლხ-ქალღმის იმპერია

*„იბერია იწევა კოლხეთით, კოლხეთშია
ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის
სათავე“
ლევან ხანიკიძე*

დაწყებული სინყარიდან ¹,
ქიმეთით² და ბაბილონით,
დაბები და ქალაქები
კოლხთა ხელით ანაგები
გაქრა...
რადგან ყოველივე
შორეული მზის მტვერია.
მაშინ მილეთს განაგებდა –
კოლხ-ქალღმის იმპერია.

1986

1 – სინყარი – თანამედროვე ერაყი

2 – ქიმეთი – ძველი ეგვიპტე



გზას გიახლოებს უფალთან
სიმაღლე –

სვეტიცხოვლისა.

ესეც ჩინ ქვაზე სწერია:

"მოყვარე მტერი ყოვლისა

მტერთაგან უფრო მტერია".

1997



მზე ჩავიდა..

ზღვისპირ მწუხრმა,

აღბათ,

მთვარე შეიპირა,

ცა თვალებს კვლავ ახელს ღურჯად.

პატარა ბუჩქს –

ღელის პირას,

ია ხელში ჩაუბღუჯავს.

1961



ხილვა: ენქიდუ და გილგამეში

ათასწლეულთა ღვინით გაღებულს,
სადღაც,
უსიერ ტყიდან კედრების,
სიკვდილნარევი მესმის ვედრება –
ველურ ენქიდუს
და გილგამეშის.
ურის სამეფოს ვჰკვრებ დარჩელივით,
და... შენც,
ვითარცა უთანაფიშთი*,
ბევრ წარღვნასა ხარ გადარჩენილი.

2015

*უთანაფიშთი – წარღვნას გადარჩენილი ერთადერთი ადამიანი. "გილგამეშის ეპოსი" (ძვ. წ. აღ III ათასწლეული)



ყაყაჩოებიანი შერღობი მანბლისში

მიმწუხრია...

სდის აღგეთი,

და მერცხლებით კვლავ

ერთობი, –

ფრთებს რომ ტალღებს აყოლებენ...

იქვე წყლის პირ –

წევს ფერდობი –

ავად –

წითელ ბატონებით.

1977



ვიკინგების ხომალდივით

ცისქვეშ ძველებურად მისდევს

ასწლეულებს –

ასწლეული,

მგოსნებს მტვერი რომ ადინოს.

მაინც ზოგ-ზოგ "უფლის

რჩეულს",

ცხვირი ზე აქვს აწეული,

ვიკინგების ხომალდივით.

2002



**მოყვავილე ბროწეულის ხე
ზღვისპარად**

რაც თავი ახსოვთ პონტოს და
ფაზისს,
აქ ბინადრობდა ჩემი გვარ-ტომი.
რა ვქნა!

მე კოლხეთს ვერ ვუპატრონე!
ზღვისპარად მდგარი ბროწეულის ხის
ტანზე ვარდისფრად
გამოუყრია,
ჩუტყვავილას თუ წითელ ბატონებს.

1969



ნიკოლო მაკიაველი

ფლორენციის ძველ სანახებს,
სიძულვილი ადგამს გორად,
სიყვარული აკლია ველს,
ისე, როგორც "მანდრაგორას"
და ნიკოლო
მაკიაველს².

1969

1 – "მანდრაგორა" – მაკიაველის პიესა

2 – ნიკოლო მაკიაველი – იტალიელი მწერალი,
ისტორიკოსი, სამხედრო თეორეტიკოსი (1469_1527)



პოეტია?! რას ბრძანებ!

მას ჩუმ-ჩუმად ბაძავენ,
რადგან მისი ფიქრები
ცის ვარსკვლავებს ელტვიან...

პოეტია?! –
რას ბრძანებ!
ის პოეტზე მეტია!

2014



ისევ მოლოდინი

მომავალი ვმირთა-გმირი,
მუცელში ჰყავთ მთებს –
ორსულებს,
რომელიც მტერს მუსრს გაავლებს,
ვით მითიდან გადმოსული –
უსუბი და ამირანი,
ამბრი,
ბადრი,
სეფედავლე.

1989



ეჰა,

ჩემო სამშობლო!

სიყვარული უღევი –

მიკიდია აბედად...

სანამ შენ მეგულევი,

სიკვდილს როგორ გაგბედავ!

2014



შორეულზე –
შორეული,
ბილიკებით მომავალი,
პონტოს სანაპიროზე,
რომ ჩამოდგა აისი,
იმ აისში შენეული
"ფსალმუნების"
ხმა ისმის...

1997



მწუხრი ცის ძელზე,
უსვამს შალაშინს,
ცას ვარსკვლავების ჯაჭვი
აცვია.

და მიტოვებულ პირას ჭალაში,
ვიღაც მოხუცი "მწყემსი ქაცვია",
ნახირთან ერთად თხებს და
ერკემალს
ჩვენს ბავშვობაში მიერეკება.

1966



ჩემს თავზე შავმა ღრუბლებმა,
ითავცემეს და
იტირეს!
რადგან მზე ჩაქრა იმედის.
დღეებმაც ბევრჯერ
მიმასიკვდილეს,
მაგრამ ბოლომდე ვერ გამიმეტეს!

2015



წინაპართა ნაყოფს იმკის
და ანდებში ვიღაც ინკის
ფიქრი უფლისაკენ ილტვის.
და ერთადერთ თავის პირმშოს
მსხვერპლად სწირავს
მზის ღმერთ –
ინტის.

2001



ამუნდსენ და ნობილს

შორით,

სადღაც პოლარეთს,
დაქანცულებს პოვნის გეშით,
ცისკენ ხელაპყრობილებს,

ვჭკერებ: ყინულის

მკრთალ სარკეში –
ამუნდსენს¹ და ნობილეს².

1971

1 – რუალ ამუნდსენი – ნორვეგიელი მოგზაური და
მკვლევარი (1872 – 1928)

2 – უმბერტო ნობილე – დირიჟაბლების კონსტრუქტორი
(1885 – 1978)



მარტყოფი

ლოცვით,

ათასწლეულების

უდაბნოში ეხეტე...

და დღეს უხმობ მარტყოფში,

"მარტოდმყოფელ" –

წმინდა ბერს,

იოანე მესვეტეს (VI ს.)

1964



ხელთაშუაზღვისპირეთი

- VIII ს.

ცისქვეშეთში,

კეთილთან,

"ბარბაროსებს" რა დალევს!

ვჭვრეტ:

რომისკენ მიმავალ –

ოსტგუთებს¹ და

ვესტგუთებს²,

ლომბარდებს³ და ვანდალებს⁴.

1989

1,2,3,4 – გერმანელი დამპყრობელი ტომები



რომი, V საუკუნე

მორჩა!

გზები რომისკენ

ახლა უკვე არ მიდის!

უკვე დადგა ამინდი –

გუთისა და ვესტგუთის,

ანგლების და

საქსების.

ვახმე! რომი სულს დაფავს,

კვდება და

იქსაქსება...

1972



მზე

თუ მზე ღმერთი არაა,
ღმერთთან არის ზიარი:
არა,
მოხეტიალე,
ბოდმით სავსე ღრუბლები.
ერთადერთი მზე არის,
შვილი –
თავისუფლების.

1966



საწყალი კაცობრიობა –
მარად სიცოცხლის ნდობი...
სისხლი –
ცრემლი –
და ოფლი –
ნეტავი არის რომლის,
ქვედა თუ...
ზედასოფლის?!

1979



კოლხური ბაღი

ათასწლეულების იქით,
ფაზისპირ, –
„კოლხურ ბაღის“
ზღვაში თეთრი აფრებივით,
იდგა აღუჩა და
ნუში...
და სწორედ დღეს იმ ბაღიდან
მესმის კოლხურ ყვავილების
„ხვევნა,
კოცნა,
მტლაში-მტლუში“.

2019



ქორწილი

ათასჯირ-ვარამ გადანაყარი,
უკან მოყვება დარახტული
მთათა მაყარი,
ღიაა მცხეთის ოთხივე კარი....
თბილისს გაისმის
სიონის ზარი...
და რადგან ღმერთმა ასე ინება,
სვეტიხოველთან –
ჯვარსა წერს „ჯვარი“,
მტკვრის და არაგვის დაქორწინებას.

1961



**არმაზი,
ითრუჯანო**

ის პატარა სამყარო,
ცეცხლის მოთაყვანეთა
ცეცხლით გადაირუჯა...
მცხეთას –
არმაზს¹ ფიცავდნენ,
ქალდეაში –
ითრუჯანს².

1969

¹ არმაზი – წარმართ ქართველთა უზენაესი ღვთაება

² ითრუჯანი – ქალდეველთა ღმერთი.



პოეტი – კამერტონი

თუ პოეტმა თავისი

სმენა –

გააფაციცა

და მიბაძა კამერტონს,

ძალუძს

ერთი ტაყვით,

რომანს გადაამეტოს...

1965



მთვარე და ვარსკვლავები

მელოტი მთვარე ბედუინივით,
ცის უდაბნოში
ვერ მორჩა ყიაღს,
ღრუბლებში სრბოლამ
ველარ მოქანცა.
ზღვაში იმდენი
ვარსკვლავი ყრია,
ამობრუნებულს –
მოჰგავს ცას.

1955



**აბო თბილელის „ნიშა“ მეტეხის
ციხესთან**

ანგელოსივით –

თეთრითმოსილი,

უცებ იელეებს სახე გრანელის,
მეტეხთან,

სადაც მოჩანს „ნიშა“-რა.

და მტკვარიც წუთით აქ სვლას
ანელებს,

აბო თბილელის წმიდა ხსოვნის
აღსანიშნავად.

1958



ჩემი ლანდი

მზის ძახილი აღარ ისმის
და მთვარე კი ფეხშიშველი,
სადღაც მიდის, როგორც განდი,
არც ძმა ჰავს და
არც კმობილი.
ცოგ ქვაზე ზის ჩემი ლანდი,
ცხრა პირი ტყავ –
გაძრობილი...

2019



ქელები

ცხრა მთის იქიდან –

გადმოსულები,
ყივჩალებივით ღგანან
ქელები.

და სივრცეებს შიშით ტვირთავენ...

ბარად კი შენი

შემოქმედება,

ზღვაა მშფოთვარე,

მარგალიტებით საესე

პირთამდე.

2019



**სიცოცხლე,
სიკვდილი**

ბველითაგან ნათქვამი არის:

ზეციდან მოწყვეტა
მნათის,

მომასწავლებელია ავის...

სიცოცხლე –
წინამხარეა მოვარის,

სიკვდილი –
უკანა და შავი.

2019



ღღე,
ღამე

ცა ისევ ისე იტკივებს მუცელს,
უნდა რომ წვიმა
იმშობიაროს,
ელვის გაკრთომა მოჰგავს მის კივილს...
ღღეს –
ცეცხლისმფრქვევი
მზის გული უცემს,
ღამეს – კი მთვარის,
ყინულზე ცივი.

2019



მწოლიარე ლექსები

სად არიყავ...

დედამიწა მოიარე...;

ისევ ლექსით გახდი ავად,

დაწევი და...

მწოლიარემ

წერე...

(წერით ხარ სნეული)

ახლა თვალი სიხარულით გევისება...

„ფსალმუნთა“ – 100 ტომეული,

შენ მონათლე –

„მწოლიარე ლექსებად“.

2019



სემირამიდას ბალი

ჩაუქრობელი ცეცხლით,
ომებით,
თუმც შეიცვალა ბევრჯერ ამინდი,
/სასურველი თუ
არ სასურველი/,
მაინც ჩემამდე მოდის სურნელი
„ქალდეელების“¹ ბაბილონიდან –
ბაღის –
ღვთაებრივ სემირამიდს²...

1968

¹ ბაბილონს (მამა-შვილის) – ნაბუქოდოსა და ნაბოქოდო ნენ-
ცარის/მენცარი, ვ. ვ/გარდა ექვსი მეფე ჰყოლია ქალდეველი.

² სემირამიდას ბალი – მსოფლიოში ერთ-ერთია შვიდ სა-
ოცრებათაგანი, რომელიც მიეწერება ასირიის ლეგენდა-
რულ დედოფალს – სემირამიდას.



შესანიშნავი უვიღულო

*მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“
ასტომეულზე*

საქართველოში,
ვით დროს რუსთველის,
პურის მარცვალი
შვიდიოდუ ამოთავთავდა...
მორჩა!..
გათავდა!..
ამაოა აწი მცდელობა!
ვერავინ შეძლებს ეგრისელობას.

2019



აპათია

გ. ს.

ნეტავი რას მოასწავებს,
გუშინ მზისებრ მოყვავილე,
დღეს კი უცებ აპათია¹,
რა ზნე არის,
რა ბუნება?!
ღმერთიც აღარ გაპატიებს,
შენ!
მის გაუდაბურებას!!!

1977

¹ აპათია (ბერძ.) – გულგრილობა, უინტერესობა, უხალისობა.



5000

ვარსკვლავების,
მზის და მთვარის,
ცაა – ოქორს სამარე,
ისევ ცოცხლობს იმედი...
როგორც მაშინ –
ხუთი ათასი
წლის წინ –
კოლხეთ-ქიმეთის¹
დიდ ხელმწიფის –
ან მარეს.

1997

¹ ქიმეთი – ეგვიპტის ძველი სახელწოდება.



ცა-ქუდად,

მიჯა-ქალამნად...

*მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“
100-ტომეულზე*

ეს რა ჰქენი ეგრისელო!
გლეხის ბიჭმა აღაღმა,
რომ მიღეთში –
შენ ერთადერთს
ცა – ქუდად არ მიგაჩნია,
დედამიწა –
ქალამნად!

2019



არმაზი და ბაგინეთი

საქართველოს დამაქცევარ
უფალს არ შევაგინებდი,
რომ წამითაც
არ მენახა,
დაქცეული უფლის ციხე,
არმაზი და
ბაგინეთი.

1970



ღეღა

რაც შენ წახველ,
არაფერი არ შეცვლილა,
ღურჯია ცის კამარაც.
ისე,
როგორც ოცი წლის წინ,
კვლავ იტაცებს ქორი წიწილს,
კვლავ ითხრება
ღეღა!
შავი სამარე.

2003



ლაზებსა და მარგველებს

კოლხი მეზღვაურები –
ქართა ძახილს ელოდნენ,
აფრა გაშლილ ნავებთან.
ჩანდა შიშის დამრგველი –
პონტო უნანავებდა
ლაზებსა და
მარგველებს.

1969



კრწანისის ველი

(ვარიანტი)

აჰა,

სამასი წელი გავიდა,

რაც აქ –

გმირთ-გმირი არაგველების
თავგანწირული ხმალთკვეთების ხმები
გაისმის.

და იმათ დაღვრილ სპეტაკ სისხლიდან
ამონთებული ყაყაჩოების

აღში რომ იწვის

ველი კრწანისის.

1959



ანაკონდა

ახლა კოლხთა წარსულს აწვიმს,
მაგრამ ადრე საწუხარი
არ ჰქონია,
ან რა ჰქონდა,
რადგან ხეზე ოქროს საწმისს –
დარაჯობდა
ანაკონდა.*

1968

* ანაკონდა – ურჩხული, გველი.



300 იაღვა

მზე თითქოს აქვე –

მიწაში ჩადის,

წუხილი სანთლებს

ნისლად ებურვის.

ვიღაც ღოცულობს, ვით იაღვა.

პატარა მატლი –

აღბათ სული მიცვალებულის –

ძველი საფლავის ღოდზე მიღოდავს.



* * *

ზეცისკენ მიაქვს ღოცვები
უფლის ტაძარში სიონის –
დანთებულ სანთელ-საკმელს.
და მესმის გალაკტიონის
„- ლაკმე,
სადა ხარ, ლაკმე!“

1960



* * *

ცალი თვალი კი ცისკენ უჭირავთ
მთებს კუზიანებს და
ამაზრზენებს,
თუმც არას თხოვენ,
არც ავალებენ.
ვარსკვლავები კი მიწას დამზერენ
განთიადამდე –
შუშის თვალებით.

1962



შესაწირი

სიერმეცა და სიჭარმაგეც
გავატანე ფრთებს არწივის.
და ქართული ლექსის უფალს,
მცირე,
მაგრამ, ვით შემეძლო,
მეც შევწირე შესაწირი.

2005



შირაზში

ვითარც ადრე,

ცოდვილ დედამიწაზე –

მიჰქრის ჟამთა ბობოქარი

მდინარე

და დღეებიც გადადიან ყირაზე.

წარსულიდან ხმა მოესმის

მინარეთს:

– წინანდლის ვარდს,

ვერ ჯობია შირაზის.

1974



მთვარე და მგოსანი

ზღვის სანაპიროზე დამჯდარა
მგოსანი,
გაჰყურებს სივრცეებს და
თვალებს არწყულებს
და მისდევს ფარულად წამს-წამი.
მთვარე კი დაცქერის,
ვითარცა ქალწული
და აფახულებს ღრუბლების წამწამებს.

1986



ღმერთთა ომი

ღმერთთა შორის არის ომი
და მოუღებს მალე ბოლოს
უფალთ შორის უზენაესს –
დიდ ურანოსს,

შვილი კრონოს.

მაგრამ მალე მოვა ის დღე,
მას დაამხოვს რისხვა

ზევსის,

სანამ გამოიხნდება ქრისტე.

1973



* * *

(ვარიანტი)

არაფერია სადარდელი,
მოკვდავნი ტყუილად მისტირის,
დღეებს,

შავ ფერს რომ წყევლიან.

სიცოცხლე და სიკვდილი:

წინ ცეცხლი,

უკან მეწყერია.

2002



* * *

ბევრჯერ,
არყოფნის გზით მიმავალი,
სიცოცხლისაკენ ისევ შევბრუნდი
და ამ ცხოვრების სკილას,
ქარიბდას
და ბნელ სამკუთხედს
შავი ბერძუნის,
შენმა,
ო, შენმა სიყვარულმა
მე ამარიდა.

2001



* * *

სხვისი კი არა,

ბრძენკაც ნოეს შთამომავალი,

ბევრნი არიან აქ კაენები,

ცოტაზე-ცოტა აბელები.

და ვარსკვლავების ღამურები

ჰკიდია ცაზე:

– დიდი სინათლის ზღვას აბნელებენ.

1970



* * *

მოლოდინში გაზაფხულის წვიმის,
ქარებს რბენით

გადაღლიათ მუხლი.

ადარ წყალობთ მაჰმადი და

ბუდა.

ცის ბუდეში –

ჩუმად ჯდება მწუხრი,

– ვარსკვლავები გამოჩეკონ

უნდა.

1978



* * *

ელვა კი არა,
ციდან ვიღაც გველამაზება,
თუმც აღარ უჩანს სახე,
არც პირი.
ხსოვნის იქიდან ქრიან ქარები.
ზღვის და სიცოცხლის
არ ჩანს ნაპირი
და ღელვა ღამის ტოტს ეფარება.

1986



* * *

შოღორ წარსულიდან მოგესმოდა
ხმა წინაპართა
და გზას მისდევდი გეშით მეძებრის,
თუმც ირეოდა უამთა მორევი.
ცის უდაბნოში სამშობლოს და
შენს თავს ეძებდი,
ბოლოს იპოვე ერთად ორივე.

2003



* * *

დამთავრებულა მიმწუხრის ღოცვა
და ამბიონთან არაჩანს მნათე,
ჩამავალი მზის სხივი
მინანქრობს.

სულს კვლავ უბერავს ანთებულ
სანთელს

ქარი,

საყდარში, მაგრამ ვერ აქრობს.

1979



* * *

დასაბამიდან დედამიწაზე,
მთოვარის ცივი,
იფრქვევა ლავა,
და... ვარსკვალვები ჩემი ხმებია,
იდუმალვებით შემოსილი
ზაფხულის ცა ვარ,
ამ შუადამით,
ვიღაცა რომ მიშტერებია.

1999



ქართლში

ჩახვევია მტკვარს ღიახვი
და ვით ტყვიავს,
შინდისს,
ატენს –
ოქროს ცვარ-ნამს ცა ასხურებს –
პაწაწინა ვაშლებს,
ატმებს,
კვირტებით ტოტ განასკვულებს.

1982



* * *

ეს სიცხე კი არა,
სიკვდილია,
სასმილს რომ მიკიდებს
და არ მეშვება,
კვლავ უნდა –
მიმგვაროს ჰადესს,
და ჩემსკენ მოიწევს გავეშებით,
სახეზე მგლისფერი ადევს.

1993



* * *

ზამთრის წუხილით ფერწასულები,
თუ სურნელოვან მზით და
აპრილით –
მთვრალი დღეები სადღაც მიდიან...
და... ჩვენი ყოფნა –
არის მშფოთი ზღვის ზედაპირი,
არყოფნა –
ფსკერი,
სად მარადის სიმშვიდეა.

1966



როგორც მიქელანჯელო

არარაობის კართან ვცემ ბოლთას
და სიცოცხლეა ჩემთვის
სასჯელი –
ჩუმი და მორცხვი.

მეც

ისე, როგორც მიქელანჯელო,

“სიკვდილით ვცოცხლობ!”

1994



სამყურები

ესმით ძახილი გაზაფხულების –
სიმყუდროვიდან
მოსულ სამყურებს
და სიხარულით უთრთით გულები,
ჰკიდიათ ცვარის ციცქნა
საყურე
და მწვანე თვალებს აფახულებენ.

1960



**წვიმის სავარცხლით
თმაღავარცხნილი**

ცა,

წელზე ირტყამს

ოქროსფერ სარტყელს,

ელვა,

მეხს დასდევს დასაკოდავად,

ტყეს არ აღვიძებს დედა კოდალა

და ბუდეში გლოვა აქვთ

ბარტყებს.

1962



შენი გზა

პოეტსა და მეცნიერს
მერი ბადრიშვილს

დიდ არს უფალი...
და არ შეგრისხავს,
მზესთან ჯვარი რომ იფსკვენ,
მან,
ერთადერთმა იცის შენი გზა,
ვითარცა მიდის ცისკენ...

2000



* * *

მცხოვრებთ ცის ლურჯ სასახლეში –
დღეს და ღამეს –
ტყუპისცალებს,
ქვეყნად არვის შინებიათ,
ეს ღამაში ვარსკვლავები –
მზის და მთვარის შვილებია.

1961



* * *

როგორც ყველგან და როგორც
ყოველთვის,
ის იყო დიდი...
და არ დაინდეს,
და მოკლულ იქნა შურის ისარით,
ვითარც პოეტი
და ვით რაინდი,
ვით ფარაონი და კეისარი.

1964



* * *

ვფიცულობთ მზეს და ის გვემალება,
ვითარც ლაჩარი ქსელის მბეჭველი
დაგვდექს სიკვდილი –

აფთრის თვალება,
რომ სიბნელეში დაგვცქვს ბეჭებით,
რომელიც ელვის ხელს მოაწერს და
დაუდასტურებს მთვარის ბეჭედით.

1981



* * *

რადგან მოვედით
უნდა წავიდეთ,
კანონი გახლავთ ჩვეულებრივი,
მით გვეტკილება
წუთისოფლის მწარე ნაყოფი,
ყოფნა –
თვალეზე გვაკრავს ღიბრივით,
მიტომ ვერ ვხედავთ დღეებს
არყოფნის.

2001



ღიაროხი

ვუხმობ აიეტს –

ჩემს ძველ ნათესავს,

პონტოს ნაპირზე ომი არ ცხრება

და ხმასაც ვეღარ ვაწვდენ ქართამდე,

საუკუნეებს ვფშვნი მზის

მარცვლებად,

მერე კოლხეთში ვფანტავ და ვთესავ,

რომ ლეგენდები ამოთავთავდეს.

1960



* * *

ამაქვეყნიურ აურზაურში,
სიცოცხლე ისმის,
როგორც ოქტავა
და ცას ახურავს დათაღხული –
მთვარის მანდილი,
რა ქნას,
ო, თუმცა იცის მოკვდავმა,
აქ მირაუია,
იქ – სინამდვილე.

2000



* * *

შაეწოხიანი ღამეები,
მინდვრებზე ყვავილებს თესავენ,
ხეებზე კვირტებსაც ნასკვავენ,
მთვარე კი ცის ტაძარში მნათესავით,
დიღამდე არისხებს –
ვარსკვლავებს.

1962



* * *

იელვა,

თითქოს და სამყარო,

უეცრად შუაზე გაიყო,

ქარმა კი ღრუბლების ხურჯინს

თავი მოუკრა და...

ზღვა იყო,

ქართველის ცის ნაგლეჯივით

ღურჯი.

1974



* * *

სსენი აღარ შეარჩინა სეტყვამ
ხეხილს,
ჩაუშავა კვირტებს მწვანედ გახელილი
თვალთა უბე,
და ცა მოჰგავს კახელ გლეხის –
სავენახეს.
და ქარები ღრუბელ-ღრუბელ
მიაქროლებს
მთვარის ნახევს.

1979



* * *

ზღვა არა,
ჩემი ფიქრია,
სამი ათასი წლის მერე,
ფოთთან ასე რომ ვნიასობს:
ბერძნებმა,
 ო, იმ ოხრებმა,
ვითარ გაბედეს მზის შვილთან
მოსვლა და...
ჩემმა კოლხებმა,
ქალიც და ოქროს საწმისი,
ვით გაატანეს იასონს.

1961



სქილასა და ქარიბღას

მზერა ორი ურჩხულის –
სქილასა და ქარიბღის,
წამით აღარ გაშინებს.
გრძნობ, უამი რომ ოთხ ფიცარს
ჩუმად აშალაშინებს,
მაინც თვალთა ისარი –
ზეცისკენ გაგირბის.

2008



* * *

იჭვი ააგე ფიწალს,
ნუღარ შეგაკრობს წამით,
შავი ღრუბლების სისქე.
ნუ დააკვდები მიწას,
მზერა გასტყორცნე
ცისკენ.

2003



ჩანს კარიბჭე ქებრონის

მოსდგებია სამყაროს –

საბაოთის ნაგრამი:

(წყალზე მიდის თებრონე.)

ბღავის ფარა –

აბრამის,

ჩანს კარიბჭე ქებრონის.

1980



ისევ ქართული ფრთები

შეგუმბლული სინათლით,
ბნელში ხელის ფათურით,
ცისკენ –

მარად იურვი.

და მიგაფრენს „ქართული
ფრთები“ –

მარადიული.

2008



ტუია სსსაფლავი

მარმარილოს შავ სარკიდან
იყურება მამა-შვილი
და ორივეს ჩანს პროფილი.
დგას ტუია¹ –
თმაგაშლილი,
ვით მარადი ნეკროფილი.²

1983

¹ ტუია (ბერძნ.) მარადმწვანე დეკორატიული ხე.

² ნეკროფილი – სიკვდილის სიყვარული.



ადამის ძეო

მზის ნახვის დიდი დღესასწაული,
რადგან გარგუნა
ბუნებამ ბედად.
და ცისქვეშეთში სიცოცხლედ იშვი.
ნუ ხარ „მაღალი და
მაღლად მხედი“,
ადამის ძეო! გქონდეს ღვთის შიში.

2001



მერჩულესა და მთაწმინდელი

მზის ხილაბანდით შუბლწაკრული,
გარდასულ დღეების
ნათელი –
სულ უნდა ათოვდეს...

აწვიმდეს:

ხსოვნას ჩახრუხადის, შავთელის
მერჩულესა და
მთაწმინდელთ.

2001



* * *

ყოფნის ციხე-დარბაზი –
ნათელი და
კამკამა,
გადექცევათ მრუმე ცად!
ბოლოს ეჭვი დალუპავთ
ურწმუნოთ და
უმეცართ.

1998



* * *

ვარსკვლავთ კიბეებს მიჰყვები
მაღლა,
ელვა ხავერდად ძირს
გეფინება...
და როს მეცხრე ცის კარი შეაღე,
გარემოსილმა სერაფიმებით,
ოქროს ნაყოფი მოგაწოდა
შენმა მებაღემ.

2002



* * *

ცის ტაძარში შავ ღრუბლებად,
ღამის ნამწვავები ყრია.
საიდანღაც ვიღაც კივის:
– ნუ შეაჩვევ ფიქრებს წყვილადს,
შენსკენ მოფრენს
ნათლის სხივი.

1978



* * *

დედამიწას რომ ასკდება,
ზღვა არის და
მეწყერია –
რაც იტირე...
და იმღერე.
ეს ლექსები სულ დამ-დამით
გიწერია,
ვით ლოცვები,
ქვაბში დაყუდებულ ბერებს.

1997



* * *

წამს,

ცისქვეშეთს ვტყორცნე მზერა

და წუხილი დამეუფლა:

– რა მცირეა ეს სამყარო.

და ვით დავით,

შევთხოვ უფალს,

მისი ჩრდილი დამაფაროს.

2005



* * *

ამაქვეყნად ზოგ-ზოგებს,
უკვდავება აბოდებს!!!
შენ კი დიდი მგოსანო,
ოქროს გვირგვინოსანო,
ღმერთმა ნუ ქნას,
არ მოკვდე!

2007



მზახრობა წარსულში

(შუამდინარეთი)

იდიგნას¹ და ბერანუნის²
ნაპირებზე,
ვითა წინათ,
ისევ დათერეშობს შური.
და ღმერთების მეფობს შიში.
ჰყვავის ური³
და წიფური,⁴
შურუფაქი,⁵ ლაგაშ,⁶ ქიში.⁷

1991

¹ იდიგნა – ტიგროსი

² ბერანუნი – ევფრატე

³⁴⁵⁶⁷ შუმერული უძველესი ქალაქები.



* * *

მარადისობის ციდან მოსული,
იქ – მასპინძელი,
აქ – კი სტუმარი.
არა ჩანს იგი, შორეული
გზის ჩამკეტავი.
და სიხარულის მზით –
იდუმალით,
სული ისწრაფვის ხილვად –
ნეტარის.



* * *

მარადისად შენში არი,
როგორც გულა და
ნაბადი:
ზეაღმტაცი სულის ვნება,
სიმაღლე და
სითამამე,
თვითმყოფი და თვითნაბადი.

1986



უზენაეს ზენათა

ღამით მთვარეს,
და დღისით მზეს,
უქრობ სანთლად უნთებდი,
რომ მარადის ენათა:
ნათლით მოსილ სიხარულს და
უზენაესს –
ზენათა.

1965



ნიცუე და ფეჰლო ლონგინე

ცის ედემის ბინადართ –

უშლის მოვარის ლოგინებს:

ნიცუე –

„ზარატუსტრაში“,

„ამაღლებულთ“ –

ლონგინე.

1972



* * *

ცვარი არა,
ანგელოზნი,
უფლის ნაკურთხ წყალს
გასხამენ,
სიფრიფანა პეშვით ნისლის.
მზის პერანგი შევნით დღისით,
ღამით მთვარის
მოსასხამი.

1967



მეთერთმეტი ცა

სადაც ათასწლეულები
ქრიან,
ვითა წამები
და ეთერი ეთერს მეტობს.
მეცხრე არა,
მეთერთმეტე
ცაა –
ღმერთთა სამეფო.

1977



გიგანტომახია

ცხრა ცისა და ცხრამუზის
რისხვა შენზე ახია.
წელი არის ერგასი,
რომ ეწევი მსოფლიო
პოეზიის პერგამში¹
შენ,

გიგანტომახიას²

2001

¹ პერგამი – ტაძარი

² გიგანტომახია (ბერძნ.) გიგანტთა ომი.



* * *

პონტოს სანაპიროზე –
ლეგენდებით,
 მითებით,
საიდუმლოდ მოსილი,
კოლხეთია –
 სამყაროს,
„საკრალური ბოსელი“.

1963



* * *

ჯვარცმულ სამყაროს კენესა –
ათასწლეულებს მიაქვთ.
და ცას –
„დაკლულ კრავს“ ვადრი.
ისევ ედება იას, –
ფერი მეწამულ ვარდის.

1977



გზა შორია მექამდე

ქართლს და ეგრისს ნიადაგ,
თავზე დასტრიალებდი,
ვით ხელმწიფე აღრეკი.
გზა შორია მექამდე?!
მაგრამ ამ გზას აღეკი,
შენ სამყაროს შექმნამდე.

1986



* * *

ჯვარზე აცვეს მზის ქვეყანა...

თეთრი ვარდი –

წითლად იქცა,

ღურჯად თეთრი იეგი.

„ოქროს საწმისს“

გაჰყვა თანაც,

კოლხთა მისტერიეგი.

1969



ხილვა: რეა კიბელა

რომ არ გაწყდეს კავშირი,
უფლის ნებას ასრულებს:
ამარანტის მთებიდან
კიბეს ადგამს კიბელა –
ცის და მიწის ასული.

1987



* * *

ზოგ-ზოგები ძველებურად
რკინას,

ოქროდ ასაღებენ,
რაც მათ შვებას ანიჭებთ.

კოლხეთია –

გასაღები,
ცის და მიწის კარიბჭის.

1972



ხილვა: მარიამ ღვთისმშობელი

„...მარიამ ღვთისმშობელი იყო
სოფიას შვიდწევროვანი, ანუ
მთლიანი, წმინდა არსის
მატარებელი
პიროვნება.“

ეკა ჯაფოშვილი

ბრწყინავს ცა კოსმიური..

ეჭვრეც: მარიამ ღვთისმშობელს,
რომელიც ექვს „სეფე ქალს“
ანუ თავის „მსახურებს“,
თავზე იღუმალების –
კოლხურ მანდილს ახურავს.

2007

სულიწმინდის ქნარი

ახალი წლის სუნთქვა მესმის
და ცა სისპეტაკეს ბარდნის.
ჩემში სიხარულის ქართთ
გადმოვიდა უფლის მადლი
და ვარ სულიწმინდის
ქნარი.

1971



* * *

ვიღაც სივრცეს ხნავს
ელვის სახნისით,
ღამე დიღამდე თესავს ვარსკვლავებს.
მთვარე ისე, ვით მესრე
ტრიალებს.
მაღლა, ცის ტახტზე ჯდომას
მეფურად,
დაბლა, მიწაზე მირჩევნია
მე ხეტიალი.

2001



**ხილვა: ჯვარზე გაკრული
ქრისტე**

ცის მაღალ კაბადონზე –
სხედან ანგელოზები
და მაცხოვარს ელიან.
ის კი ჯვარზე გაკრული
უხმოდ უხმობს

ელიას.*

1980

* ელია (ქართულ მითოლოგიაში) წვიმის მომყვანი ღვთაე-
ბა.



ნათლის წყვლიადში რადგან მოვედი,
მწამდა,

საწუთრო,

ათას ჭირს და ვარამს შემყრიდა.

და თუ არა შენ,

ეს წალკოტი ვის გავუშენო?!

მე ვერ მოკვდები,

ვეღარ წავალ მე ამ ქვეყნიდან,

სამშობლო!

ყოფნა,

რადგან აღარ ძალმიძს უშენოდ.

1991



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ5
 დილა25
 * * * სიმეუდროვეში არჩანს არავინ.....26
 * * * რაღაგნაც მეცხრე ცისკენ27
 ორი კვიპრიანი28
 სოფელში29
 ეკლესია30
 * * * სანაპიროზე მოისმოდა31
 რომი32
 ვით ღმერთკაცი33
 რეა-კიბელა, მედეა34
 1000 წლის მერე35
 ქარიშხალი ზღვაზე36
 * * * ვით რომაელთა ლეგიონები37
 საწუთრო38
 მოლოდინი39
 სიცოცხლე40
 * * * ვახმე!41

გათენება.....	42
ადამიანი მთვარეზე.....	43
აფრები.....	44
ვით თქმულება და ლეგენდა.....	45
ვერ შევიწყნარებ.....	46
ფიქრი.....	47
ეს სიყვარული.....	48
დიდება.....	49
წუხილი.....	50
მთვარე – ძეგლი.....	51
* * * გაჩენის წუთიდან.....	52
ისევ კოლხეთი.....	53
ციხე გოჯი.....	54
* * * მოულოდნელად მესის.....	55
ტაშის კარი და მარტყოფი.....	56
მზე.....	57
ჰელიოსი, იბერიონი.....	58
ცა – ვარსკვლავებით მორწყული.....	59
* * * ზღვას სურს აფრენა.....	60
* * * კოლხეთის დიდ წარსულს.....	61

დედა.....	62
ცაზე მნათთა წარწერები.....	63
არგო.....	64
პლუტონი... და ანდრომედა.....	65
მაშინ... ..	66
* * * ის მთვარეები.....	67
ხილვა: ბაღვაშები, ჯაყელები.....	68
ქედები.....	69
ელვა.....	70
კოსმიური ხმები.....	71
წყარიშმაფა.....	72
ხილვა: წმინდა გიორგი, კოპალა.....	73
* * * ვფიცავარ ცას და ბუნებას.....	74
მუხა.....	75
წარწერა ქვაზე.....	76
შენი მთა.....	77
დრო.....	78
* * * ვინაც, რომ შექმნა სამყარო.....	79
ზღვის სასაფლაო.....	80
ფრინველების გადაფრენა.....	81

ქართული მთები.....	82
ნისაბა.....	83
ნაპერწკლები	84
* * * გადაუელვეთ სამყაროს... ..	85
ხილვა: გერგეტის მთა.....	86
ნათელი	87
მეოცე საუკუნე.....	88
ხილვა: ფშავ-ხევსურეთი	89
შიში.....	90
ქრისტე და გოლგოთა.....	91
შავი არაგვი, თეთრი არაგვი	92
პოეტი – ლეგენდა.....	93
2000 წლის 31 დეკემბერი.....	94
ხილვა – ხევსურეთი	95
* * * შორს	96
* * * დღეს დარჩენია ღიად კარები	97
აჯა	98
ხილვა: წმინდა გიორგი, პირქუში, იახსარი.....	99
ისევ ლოდინი	100

უცხო ხმა	101
ვედრება	102
იასარი და კოპალა.....	103
აჯა	104
ხილვა: აიეტის მთვარის სასახლე	105
კუპრის ცეცხლი	106
ვით ანტეოსი.....	107
სასაფლაო.....	108
ადადი	109
აფრიკა.....	110
კოლხეთის წარსული.....	111
* * * ბუნებას ყური ასი აქვს.....	112
არათა	113
* * * მთებზე ქედები დგანან.....	114
ვაშინერს.....	115
შუმერი.....	116
* * * მეფე დავითმა.....	117
ერგასი – 50	118
მთაში.....	119
ანანაქები.....	120

*** მუხლმოყრილი დგანან მთები.....	121
*** მაშინ.....	122
*** სადღაც გალაქტიკაში.....	123
ბასილ დიდის ჰომილიებს.....	124
*** ამაყად და თავმომწონედ.....	125
*** ორიოდ ლექსი შეუბუმბლავი.....	126
ენგურსა და ეშარას.....	127
*** სამოთხის მაღალ კარიბჭეს.....	128
*** თუმც ახლო იყო.....	129
კოლხებსა და იბერებს.....	130
არშის ციხე.....	131
მგოსნის სული.....	132
*** დაკანკალებდა სიცივე.....	133
*** მარადისობას გამოქცეული.....	134
ჯვარს აცვით ეგე.....	135
*** გეხურა ელვით ცა დაკემსილი.....	136
კოლხ-ქაღდების იმპერია.....	137
*** გზას გიახლოებს უფალთან.....	138
*** მზე ჩავიდა.. ..	139
ხილვა: ენქიდუ და გილგამეში.....	140

ყაყაჩოებიანი ფერდობი მანგლისში.....	141
ვიკინგების ხომალდივით.....	142
მოყვავილე ბროწეულის ხე	
ზღვისკარად	143
ნიკოლო მაკიაველი.....	144
პოეტია?! რას ბრძანებ!.....	145
ისევ მოლოდინი	146
*** ეპა.....	147
*** შორეულზე	148
*** მწუხრი ცის ძელზე.....	149
*** ჩემს თავზე შავმა ღრუბლებმა.....	150
*** წინაპართა ნაყოფს იმკის	151
ამუნდსენ და ნობილეს.....	152
მარტყოფში	153
ხმელთაშუაზღვისპირეთი – VIII ს.	154
რომი, V საუკუნე.....	155
მზე.....	156
*** საწყალი კაცობრიობა	157
კოლხური ბადი.....	158
ქორწილი	159

არმაზი, ითრუჯანი.....	160
პოეტი – კამერტონი.....	161
მთვარე და ვარსკვლავები.....	162
აბო თბილელის „ნიშა“ მეტეხის ციხესთან.....	163
ჩემი ლანდი.....	164
ქედები.....	165
სიცოცხლე, სიკვდილი.....	166
დღე, ღამე.....	167
მწოლიარე ლექსები.....	168
სემირამიდას ბაღი.....	169
შესანიშნავი შვიდეული.....	170
აპათია.....	171
5000.....	172
ცა-ქუდად, მიწა-ქალამნად... ..	173
არმაზი და ბავინეთი.....	174
დედა.....	175
ლაზებსა და მარგველებს.....	176
კრწანისის ველი.....	177
ანაკონდა.....	178

ვით იაღოვა.....	179
* * * ღამის იქიდან.....	180
* * * ზეცისკენ მიაქვს ღოცვები.....	181
* * * ცალი თვალი კი ცისკენ.....	182
შესაწირი.....	183
* * * ვარსკვლავები კი ღამით.....	184
შირაზში.....	185
მთვარე და მგოსანი.....	186
* * * ათასწლეულებში.....	187
ღმერთთა ომი.....	188
* * * არაფერია სადარდელი.....	189
* * * ბევრჯერ.....	190
* * * სხვისი კი არა.....	191
* * * მოლოდინში გაზაფხულის	
წვიმის.....	192
* * * ელეა კი არა.....	193
* * * შოორ წარსულიდან.....	194
* * * დამთავრებულა.....	195
* * * დასაბამიდან დედამიწაზე.....	196
ქართლში.....	197

* * * ეს სიცხე კი არა.....	198
* * * ზამთრის წუხილით	199
როგორც მიქელანჯელო	200
სამყურები	201
წვიმის სავარცხლით	
თმაღავარცხნილი	202
შენი გზა.....	203
* * * მცხოვრებთ ცის ლურჯ	204
* * * როგორც ყველგან.....	205
* * * ვფიცულობთ მზეს.....	206
* * * რადგან მოვედით	207
* * * ამაქვეყნიურ აურზაურში	209
ხილვა: აჯანყებული სამთავრო.....	210
* * * შავჩოხიანი ღამეები	211
* * * ღამის კუბოში როცა ვიძინებ.....	212
* * * იელვა.....	213
* * * ხსენი აღარ შეარჩინა	214
* * * ზღვა არა	215
სქილასა და ქარიბდას	216
* * * იჭვი ააგე ფიწალს	217

ჩანს კარიბჭე ქებრონის.....	218
ისევ ქართული ფრთები.....	219
ტუია სასაფლაოზე.....	220
ადამის ძეო.....	221
მერჩულესა და მთაწმინდელთ.....	222
* * * ყოფნის ციხე-დარბაზი.....	223
* * * ვარსკვლავთ კიბეებს.....	224
* * * ცის ტაძარში.....	225
* * * დედამიწას რომ ასკდება.....	226
* * * წამს.....	227
* * * ამაქვეყნად ზოგ-ზოგებს.....	228
მგზავრობა წარსულში.....	229
* * * მარადისობის ციდან მოსული.....	230
* * * მარადისად შენში არი.....	231
უზენაესს ზენათა.....	232
ნიცმე და ფსევდო ლონგინე.....	233
* * * ცვარი არა.....	234
მეთერთმეტე ცა.....	235
* * * ვამბობ მათ გასაგონად.....	236
გიგანტომახია.....	237

* * * პონტოს სანაპიროზე.....238

* * * ჯვარცმულ სამყაროს კვნესა239

გზა შორია მექამდე240

* * * ჯვარზე აცვეს მზის ქვეყანა.....241

ხილვა: რეა კიბელა242

* * * ზოგ-ზოგები ძველებურად243

ხილვა: მარიამ ღვთისმშობელი244

ველი, ვითარც ფარნავაზი.....245

სულიწმინდის ქნარი246

* * * ვიღაც სივრცეს ხნავს.....247

ხილვა: ჯვარზე გაკრული ქრისტე248

კვერცხი – სამყარო.....249

*** ნათლის წყვდიადში რადგან
მოვედი.....250

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 94

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 94

გამომცემლობის
რედაქტორი – ნიკო ბაღაშვილი
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღუმბაძე
კორექტორი – ანა კალანდიაძე
კომპიუტერული
უზრუნველყოფა – ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ტოლანდ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქუჩის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com